# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოის გართობა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 22 ნოემბერი, 2013 წელი.

№225 (7353)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## სამართლიანობის უმაღლესი ორდენი – უწმინდესსა და უნეტარესს



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოეს. საპატიო ჯილდო პატრიარქს მსოფლიოს იურისტთა ასოციაციამ მიანიჭა, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია.**

ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები და წევრები კათოლიკოს-პატრიარქს საპატრიარქოში ესტუმრნენ და ჯილდო და დიპლომი გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი პაატა ცნობილაძე, მეორე ვიცე-პრეზიდენტი კინგ კორლი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი აშშ-ში ბენ გრიფიტი, აღნიშნული ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ევდოკიმოვი, ასევე სასულიერო პირები, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ზაალ სარაჯიშვილი და იურისტები.

უცხოელმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს პატრიარქს მიღებისათვის, მისი ღვაწლისათვის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში. მათ აღნიშნეს, რომ სამართლიანობის უმაღლესი ორდენი ამერიკის იურისტთა ასოციაციამ მიანიჭა რომის გარდაცვლილ პაპს იოანე პავლე მეორეს და დიდი ბრიტანეთის დედოფალს, ასევე სხვა პირებს.

ასოციაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ცნობილაძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ამ დიდი ჯილდოთი საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილსაც დააჯილდოებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაცია აღნიშნულ ჯილდოს წელიწადში ერთხელ ანიჭებს უმაღლეს სასულიერო და საერო პირებს მათი ღვაწლისათვის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრების სფეროში.

შეხვედრაზე კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა სამართლიანობის უმაღლესი ორდენის მინიჭების გამო და აღნიშნა, რომ ეს ჯილდო მოულოდნელია მისთვის. უწმინდესი მიიჩნევს, რომ ადამიანისთვის სამართლიანობა უმთავრესი უნდა იყოს. მისივე განცხადებით, მშვიდობა რომ სუფევდეს საზოგადოებაში, საჭიროა სამართლიანობა და კანონის უზენაესობა.

## პოსტსკრიპტუმი

### ბიძინა ივანიშვილი

ღია წერილი

**„ამ წერილით იმ ერთადერთ კითხვას მინდა გავცე პასუხი, რომელიც პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ჩემს განცხადებას მოჰყვა. ქართული, ევროპული და ამერიკული საზოგადოების ერთ ნაწილს გაუჩნდა კითხვა — ხომ არ ვაპირებ კულუარულად ვმართო ქვეყანა. ბევრი აბსურდული ბრალდება ისმოდა ჩემ მიმართ მაშინაც, როდესაც პოლიტიკაში შემოვედი. რას არ მაბრალებდნენ — კრემლის აგენტობით დაწყებული, საარჩევნოდ მაცივრების დარიგებით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობ ისეთ სიცრუეზე, თითქოს პოლიტიკაში საკუთარი ქონების გადასარჩენად მოვედი ან დიდი ჰესების ხელში ჩაგდება მინდოდა და ახლა, როცა უკვე პოლიტიკიდან წავედი, მინდა ვუპასუხო იმ ბოლო აბსურდს, რომ თითქოს კულუარებიდან მინდა ვმართო ქვეყანა და გავლენა მოვახდინო ხელისუფლებაზე, და როცა გავლენაზე მიანიშნებენ, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტს გულისხმობენ. მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი ჩემი ბიოგრაფიით მე დავამტკიცე, რომ უკადრისი არასოდეს არაფერი ჩამიდენია.**

ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში მომიწია ყოფნა და საქმიანობა. ეს მართლაც ურთულესი პერიოდი იყო, ბიზნესი ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ძალიან მოკლე დროში უამრავი საკუთრება გაიცა და ხშირად ეს უხეშ ფორმებსაც იღებდა. რთული იყო ასეთ ვითარებაში გამჭვირვალე და კანონიერი ბიზნესის კეთება და მიუხედავად ამისა, ჩემი ბიზნესი იყო სრულიად სამაგალითო და გამჭვირვალე. ბევრს ეცადნენ, ბევრი ეძებეს ოპონენტებმა, მათ შორის, უცხოელებმაც, მაგრამ ვერც ერთი შავი ლაქა ვერ იპოვეს ჩემს ბიზნესში. მე არათუ კანონი არ დამირღვევია არასდროს, კონტრაქტიც კი არ მომიშლია, მეტიც, სიტყვაც არ გამიტეხია. ჩემი რუსეთში საქმიანობის 20-წლიან პერიოდზე ყველა კითხვას გავეცი პასუხი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემაში, „ვედომოსტში“. ეს იყო ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც პოლიტიკაში მოსვლამდე მივეცი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს და თავად დარწმუნდეს, როგორი რეპუტაცია მქონდა რუსეთში და ბიზნესწრეებში (იხ. ლინკები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე:
http://pirweli.com.ge/?menuid=16&id=47824;
http://www.pirweli.com.ge/en/?menuid=16&id=3036;
http://pirweli.com.ge/rus/?menuid=16&id=8441).

იხ. 3 გვ.

## ეს მოახლოებულ ეკოლოგიურ კატასტროფას აგვაცილებს! ③

## გათავხედებული მესაჯდომეები ④

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს**

## რა ელის საქართველოს სააკაშვილის და ივანიშვილის წასვლით? ⑤

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# საქართველოს პარლამენტმა ქვეყნის ახალი მთავრობა დაამტკიცა

2013 წლის 20 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით ქვეყნის მთავრობას და მის მიერ წარდგენილ სამთავრობო პროგრამას კენჭისყრის შედეგით — 93 მომხრე, 19 წინააღმდეგი — ნდობა გამოუცხადა. მინისტრობის კანდიდატთა მოსმენები პარლამენტში ორი დღის განმავლობაში — ჯერ კომიტეტების და უმრავლესობა-უმცირესობის ფორმატში მიმდინარეობდა, გუშინწინ, კი პროცესი რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდა.

მთავრობამ უფლებამოსილება ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან მოიხსნა, რაც თავის მხრივ კონსტიტუციის ახალი დებულებების ამოქმედებას უკავშირდება. შეიცვალა პრემიერ-მინისტრი — ბიძინა ივანიშვილი მთავრობის მეთაურის პოსტზე შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეცვალა, ხოლო შს მინისტრის პოსტი ალექსანდრე ჭიკაიძემ დაიკავა.

ყველა სხვა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობაში ძველ პოზიციას ინარჩუნებს.

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების თაობაზე პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ, რაც პრეზიდენტს გადაეგზავნა.



**ირაკლი ღარიბაშვილი**
საქართველოს პრემიერ-მინისტრი



**გიორგი კვირიკაშვილი**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი



**კახა კალაძე**
საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი



**ალექსი პეტრიაშვილი**
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში



**პაატა ზაქარეიშვილი**
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში



**დავით ნარმანია**
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი



**ნოდარ ხადური**
საქართველოს ფინანსთა მინისტრი



**კონსტანტინე სურგულაძე**
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში



**თამარ სანიკიძე**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი



**ლევან ყიფიანი**
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი



**ხათუნა გოგალაძე**
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი



**ირაკლი ალასანია**
საქართველოს თავდაცვის მინისტრი



**თეა წულუკიანი**
საქართველოს იუსტიციის მინისტრი



**გურამ ოდიშარია**
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი



**დავით დარახველიძე**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი



**მაია ფანჯიკიძე**
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



**შალვა ფიფია**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი



**ალექსანდრე ჭიკაიძე**
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი



**დავით სერგეენკო**
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი



**სოზარ სუბარი**
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

## კადრები



### უშიშროების საბჭოს მდივნად ირინე იმერლიშვილი დაინიშნა

**გიორგი მარგველაშვილის შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტის „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.**

— დაინიშნოს ირინე იმერლიშვილი საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად, — ნათქვამია პრეზიდენტის განკარგულებაში.

ირინე იმერლიშვილმა უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე გიგა ბოკერია შეცვალა.

იმერლიშვილს პარლამენტი უახლოეს სესიაზე სადეპუტატო უფლებამისილებას შეუწყვეტს.

### ოთარ ფარცხალაძე მთავარი პროკურორის რანგში მუშაობას შეუდგა



**არჩილ კბილაშვილის ნაცვლად ფარცხალაძის დანიშვნას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მოაწერა ხელი.**

### თბილისს ახალი პროკურორი ეყოლება



**თბილისის პროკურორის თანამდებობაზე მაია მწარიაშვილს მიხეილ შაყულაშვილი შეცვლის. „ინტერპრესნიუსი" ინფორმაციის გადასამოწმებლად მთავარი პროკურატურის პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც შაყულაშვილის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია არც უარყვეს და არც დაადასტურეს.**

მიხეილ შაყულაშვილი 2012 წლიდან დღემდე შიდა ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. 2012 წლის არჩევნებამდე იგი შიდა ქართლში საქმიანობდა, იმ პერიოდში, როდესაც შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსად ოთარ ფარცხალაძე მუშაობდა, რომელიც ახლა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს.

რაც შეეხება თბილისის პროკურორს მაია მწარიაშვილმა, თანამდებობა უკვე დატოვა.

### ქუთაისის მერის მოვალეობის შესრულება მურღულიას დაევალა

**თანამდებობები დატოვეს ქუთაისის ვიცე-მერებმა თენგიზ თოფურიძემ და კონსტანტინე ლომიძემ. ქუთაისის ერთ-ერთ ვიცე-მერად შოთა მურღულია დაინიშნა, რომელსაც საკრებულომ ქალაქის მერის მოვალეობის შესრულება დაავალა.**

შოთა მურღულია ამ დრომდე ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე იყო.

ინტერპრესი

ღია წერილი

# პოსტსკრიპტუმი

## ბიძინა ივანიშვილი

(პირველი გვერდიდან)

**ჩემი ცხოვრების მთავარი ხელწერა არის აბსოლუტური გამჭვირვალობა. ასე ვიყავი ბიზნესში და ასეთივე ვიყავი პოლიტიკაშიც.** როდესაც 2003 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, მე მათ კონსულტაციას ვუწევდი მათივე თხოვნით, 3 წლის განმავლობაში სააკაშვილს მრავალჯერ შევხვდი, ცხადია, ყოველთვის მისივე სურვილით. ვერც სააკაშვილი და ვერც მისი გუნდის რომელიმე წევრი ვერ გაიხსენებს ერთ შემთხვევასაც კი, როდესაც მე მათ რამე პირადი თხოვნით მივმართე, ან პირადი ინტერესების გამო შევხვდი. მე მათ ყოველთვის ისეთ რჩევებს ვაძლევდი, რომლებიც ჩემს ქვეყანას, ჩემს სახელმწიფოს სჭირდებოდა და არა პირადად მე. ჩემი ინიციატივით იმ ფონდს ვაფინანსებდი, რომელიც ორნახევარ წელზე მეტხანს მთელ მთავრობასა და პარლამენტს ხელფასებს უხდიდა, რათა ქვეყანა კორუფციის ჭაობიდან ამოსულიყო და ევროპული განვითარების გზას დადგომოდა.

**რჩევებს ვაძლევდი მერაბიშვილსაც, ვეხმარებოდი პოლიციას პატრულის მანქანების ყიდვაში და არავითარ შემთხვევაში - იარაღის შეძენაში. ვეხმარებოდი ჯარს, ვაშენებდით ყაზარმებს, ვყიდულობდით ტანსაცმელს ჯარისკაცებისთვის.** და იქაც მქონდა პრინციპული პოზიცია, რომ ამ დახმარებით არ ეყიდათ იარაღი. მე არასდროს მიმიღია მონაწილეობა რომელიმე მინისტრის ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაში. თავს ვარიდებდი და არ ვერეოდი ამ საქმეში, ანუ მაშინ, როცა არ ვიყავი საჯარო ფიგურა და მართლაც „კულუარებიდან“ მქონდა ურთიერთობა ხელისუფლების უმაღლეს წრეებთან, ფაქტია, რომ არ მომინდომებია „კულუარებიდან მართვა“.

პოლიტიკაში ორწლიანი მოღვაწეობისას ჩამოვაყალიბეთ გუნდი, რომელიც კარგად მიცნობს, უამრავი ადამიანი გავიცანი, უამრავს დავუმეგობრდი, ძალიან ბევრი ხშირად მაკრიტიკებს კიდეც, თუმცა, ვერავინ იტყვის, რომ მე ორმაგი სტანდარტით ვცხოვრობ და ვმუშაობ. ერთ ეპიზოდსაც კი ვერ გაიხსენებს ვერავინ, რომ მე რაღაც კულუარულ თამაშებში ვერთვებოდი. პირიქით, ზოგჯერ ჩემივე გუნდის წევრები სწორედ „კულუარებში“ მაკრიტიკებდნენ პოლიტიკოსისთვის ზედმეტი გულახდილობისა და საჯაროობისთვის. ნებისმიერი ჩვენი გუნდის წევრი, ნებისმიერი მინისტრი მაქსიმალურად თავისუფალი იყო, მე მათ არასოდეს თავს არ ვახვევდი არაფერს, მხოლოდ მსჯელობისა და სალი აზრის პატივისმცემელი ვარ. ასეთია ჩემი მუშაობის წესი. მე არასოდეს არ ვმართავ კულისებიდან, მე ამას არ ვაკადრებ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ გუნდს, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემ.

**ამიერიდან მე ვიქნები საზოგადოების აქტიური წევრი, ჩემი საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე და, რა თქმა უნდა, მექნება გარკვეული გავლენაც. ამასთანავე, მე ამ გავლენას არათუ სათაკილოდ ვთვლი, არამედ ძალიანაც შევეცდები მის გაზრდას. სხვანაირად როგორ შეიძლება იყო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი?** ხელისუფლებაზე საზოგადოების გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღის, ანუ დემოკრატიის მანიშნებელია, რადგან ეს გავლენა ხალხის, საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას და მასთან უკუკავშირს გულისხმობს.

საბოლოოდ, საზოგადოება აქტიური მოქალაქეების, ინდივიდების კრებულია. ბუნებრივია, რომ მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მოქალაქის გავლენა პოლიტიკაზე, შესაბამისად, მაღალი იქნება. და თუ ეს მოქალაქე ყოფილი პოლიტიკოსია, როგორც ამ შემთხვევაში მე, მაშინ ეს წესი აღარ მუშაობს?! თუ მხოლოდ საქართველოში არ უნდა მუშაობდეს და საფრთხის შემცველად განიხილებოდეს ის, რაც აბსოლუტურად ნორმალურად ითვლება დემოკრატიულ ქვეყნებში?! ადამიანის უფლებები, ევროპული ღირებულებები, ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა, ის, რომ ამერიკა უნდა იყოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ის, რომ აუცილებლად უნდა დავალაგოთ ჩვენს მეზობლებთან და, მათ შორის, რუსეთთანაც ურთიერთობა, ეს არის ჩემი ღირებულებები, და თუ ვინმე ამის წინააღმდეგია, ისინი ნამდვილად უნდა შფოთავდნენ, რადგან დიახაც რომ, მე მოვახდენ გავლენას ამ მიმართულებით. ამ ღირებულებებს რომ ვცემ პატივს და ერთგული ვარ მათი, ეს არაერთხელ განვაცხადე. მეტიც, კოალიციის დეკლარაციასაც მოვაწერე ხელი, რომელიც მთლიანად ამ ღირებულებებს ეფუძნება. ამ ღირებულებებს ვცემდი პატივს ყოველთვის, და თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს, 57 წლის კაცი შევიცვლი ღირებულებებს, ასეთებისთვის პასუხის გაცემას არ ვაპირებ. მე სხვა ინტერესი, გარდა ჩემი ქვეყნის წინსვლის და ევროპული განვითარებისა, არასოდეს მქონია. **ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ბიზნესი არა მაქვს და ამას არც მომავალში ვაპირებ, და როგორ შეიძლება რამე სხვა მოტივი მამოძრავებდეს, გარდა ჩემი ქვეყნის სამსახურისა.** თუ შევძლებ და მართლაც მოვახდენ ევროპული მიმართულებით ქვეყნის წინსვლის საქმეში გავლენას ხელისუფლებაზე, ამას უნდა მიესალმებოდეს ყველა. არც საჯარო მხარდაჭერას, არც რჩევებს დავამადლი და არც კრიტიკას მოვაკლებ მთავრობას, რომელიც ჩემს ხალხთან ერთად შევქმენი და რომელზეც პასუხისმგებლობა ავიღე.

მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: **ის, რომ პოლიტიკიდან წასული ლიდერები გავლენას ახდენენ ქვეყნის ცხოვრებასა და პოლიტიკაზე, ჩვეულებრივი ამბავია და მიღებული ტრადიციაა დემოკრატიულ ქვეყნებში. ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს ამისა, ბევრი პოლიტიკოსი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელთა გავლენა პოლიტიკაზე ათეული წლებია ნარჩუნდება, და ეს არავის აფრთხობს.**

ვფიქრობ, ჩემგან არ უნდა ესწავლებოდეთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, რომ ასეთი ტიპის „think tank“-ის (ანალიტიკური ცენტრების) გავლენა პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმდენად მაღალია, რომ ამ „brain trust“-ების კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვება მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისგან დიდ დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს და, ხშირ შემთხვევაში, მოქმედი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მოპოვების ტოლფასია. ამ „think tank“-ის სათავეებთან კი, როგორც წესი, ყოფილი პოლიტიკოსები დგანან.

**და მაინც, ყველაზე დიდი აბსურდი, რასაც მომაწერენ, არის ის, თითქოს მეშინია, თითქოს გავურბივარ პასუხისმგებლობას და ამიტომ მივდივარ პოლიტიკიდან. შეიძლება არსებობდეს თანამდებობის დაკარგვის შიში. მაგრამ, როდესაც მე ჩემი ნებით უარს ვაცხადებ თანამდებობაზე, რა შიშზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? მე მაშინ არ შემშინებია, როდესაც უმძიმეს ვითარებაში მივიღე პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება, როდესაც ჩვენს ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმის მრავალწლიანი მმართველობა ემუქრებოდა, როდესაც საზოგადოებაში სრული სასოწარკვეთილებისა და უპერსპექტივობის განცდა მეფობდა, როდესაც მთლიანად განადგურებული იყო ოპოზიციური ძალები, – სწორედ მაშინ დავდე სასწორზე მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი ოჯახი, შვილების უსაფრთხოება და სამშობლოს გადარჩენის გადაწყვეტილება მივიღე. მე მოვახერხე და გავაერთიანე პოლიტიკური ძალების საუკეთესო ნაწილი, ერთ მუშტად შევკარი საზოგადოება და ვაიძულე სააკაშვილის რეჟიმი, მშვიდობიანად, უსისხლოდ გადმოებარებინა ხელისუფლება. და ახლა, როდესაც ხელისუფლებაში ნამდვილი დემოკრატიული ძალები მოვიყვანე, თავად ხელისუფლების ზენიტში მყოფმა, დავტოვე ხელისუფლება. ეს, ალბათ, ძნელი გასაგებია ბევრისთვის, რადგან ვერავინ დაასახელებს პოლიტიკოსისგან მსგავსი ნაბიჯის გადადგმის მაგალითს.** შეიძლება სწორედ ეს აბნევთ ვიღაცებს, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური ლიდერისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივაცია, ამოცანა და მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა, ქვეყნის მართვა და თავისი შეხედულებით სახელმწიფო საქმეების გაძღოლა.

**მინდა, მივმართო ყველას – ნუ დავრჩებით თითქმის ზოგადსაკაცობრიო სტერეოტიპის ტყვეობაში, უნდა დავიჯეროთ, რომ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ჭარბი სიმდიდრე და ჭარბი ძალაუფლება, მაგრამ გული და გონება მაინც სხვაგან მიუწევდეს, რადგან მისთვის კიდევ უფრო მაღალი ღირებულება არსებობს და ეს არის თავისუფალი სამშობლოს თავისუფალი მოქალაქეობა. ამ ოცნების ასრულებისთვის გახდა აუცილებელი ჩემი პოლიტიკაში დროებით მოსვლაც და ამასვე ემსახურება ჩემი პოლიტიკიდან წასვლაც. აი, ასე მარტივია სინამდვილეში ყველაფერი“...**

# ეს მოახლოებულ ეკოლოგიურ კატასტროფას აგვაცილებს!

**თქვენო უწმინდესობავ, ალბათ, არა მარტო ჩემი და მეტყევეთა, არამედ სრულიად საქართველოს ბუნების ქომაგი საზოგადოების სახელით უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ თქვენი იმ ღვაწლის გამო, რომელიც გასწიეთ საქართველოს ქალაქების გამწვანების ფონდის შექმნით.**

ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2009 წელს ჟურნალ „სატყეო მოამბის“ (№2, გვ. 30) ვწერდით. „განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა, აღვნიშნოთ, საქართველოს პატრიარქის კურთხევით წამოწყებული თბილისის გამწვანების სამუშაოები. თუმცა, დღეს, გლობალური დათბობის პირობებში, სასურველია, ქვეყნის სხვა ქალაქებთან ერთად, პატრიარქის კურთხევით მსოფლიოს ყველა ქვეყნის ქალაქები ჩაებნენ ამ საერო საქმეში“. აქვე ვკითხულობთ: „გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიქმნას მწვანე მცენარეთა და ტყეების აღდგენის სამუშაოთა წარმოების, მართვის საერთაშორისო „საკოორდინაციო საბჭო“, რომელიც ტყეების აღდგენის, სახელმწიფო პროგრამების შემუშავების გარდა, სახსრების მოზიდვითაც იქნება დაკავებული“. თითქოს ღმერთმა გვისმინა და თქვენი ფონდით იწყება ჩვენი ოცნების აღსრულება. ხშირად გამომითქვამს სინანული, რომ არსებობენ ქვეყნები, სადაც უდაბნოები გადააქციეს „წალკოტად“, ხოლო ჩვენ „წალკოტს“ უდაბნოდ ვაქცევთ. სწორედ თქვენს მიერ შექმნილი ფონდი და დაწყებული სამუშაოები გადაარჩენს საქართველოს გაუდაბნოებას.

თქვენო უწმინდესობავ, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ თქვენი დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე ამ ფონდით რომ არ იწყება, ამაში ყველა დამეთანხმება. განუზომელია და შეუფასებელია თქვენი მოღვაწეობა ქართველი ერის არა მარტო სულიერების ამაღლებისა და განმტკიცების, არამედ ქვეყნის განვითარების საქმეში, რაც ამ ბოლო დროს, ძნელბედობის ჟამს, ნათლად გამოიკვეთა და რასაც მადლიერებით აღიქვამს ქართველი ერი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს



რაც შეეხება საქართველოს „წალკოტად“ გადაქცევის თაობაზე თქვენს მიერ წამოწყებულ საერო-საშვილიშვილო საქმეს, ვფიქრობთ, მასში აქტიურად ჩაერთვება ყველა მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთაც. გამოჩნდებიან ისეთებიც, „მუშთაიდის“ მსგავსად, თავიანთი სახელობის ბაღ-პარკებსაც რომ გააშენებენ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ მათ შორის თქვენი სახელობის პარკიც იყოს, როგორც გამწვანების იდეის ფუძემდებლისა.

ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ღმერთმა, დედამიწის შექმნის შვიდღიანი ციკლის მესამე დღეს, ტყე მოავლინა, რითაც ადამიანს წინასწარ მოუმზადა არსებობისათვის საჭირო მდგრადი ეკოლოგიური გარემო. დღეს კი მას უმოწყალოდ ვანადგურებთ, რითაც ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა მთელი სამყარო. მიზეზი კი ის არის, რომ ერთი ჰა ტყის გაჩეხის დროს წლის განმავლობაში 10 მლდ-კკალ მზის სხივების თბური ენერგია გამოიყოფა, რაც კლიმატის ცვლილებებს იწვევს და გლობალური დათბობის მიზეზი ხდება. ამდენად, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ერთი ხის დარგვასაც კი.

ამიტომ, ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ თქვენი ფონდის პარალელურად, შეიქმნება ტყეების აღდგენის საერთაშორისო ფონდიც და დავუბრუნებთ ბუნებას იმას, რაც ზედმეტად წავართვით. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ დავიწყებთ, „სახალხო ლაშქრობას“ ტყეების აღდგენის მიზნით და შევუქმნით პირობებს ადამიანებს, რომ მათ შეძლონ თავისი სახელობის ერთი ხის დარგვა-გახარება მაინც.

ეს აქცია თქვენი კურთხევითა და ხელმძღვანელობით გლობალურ ხასიათს თუ მიიღებს, დედამიწას მილიარდობით ხე-მცენარე შეემატება, რაც კლიმატის ცვლილებებითა და გლობალური დათბობით კარს მომდგარ ეკოლოგიურ კატასტროფას აგვაცილებს თავიდან.

გვჯერა, რომ თქვენს მიერ დაარსებული ქალაქების გამწვანების ფონდი, ნაპერწკალია, რომელიც აალდება და მთელ მსოფლიოს გადააქცევს მწვანე ბაღნარად, უკეთესი რა შეიძლება ინატროს ადამიანმა, რომ საქართველო გახდება ეკოლოგიური კატასტროფისგან სამყაროს გადარჩენის „მწვანე“ ცენტრი.

თქვენო უწმინდესობავ, უდიდესი მოკრძალებით კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას ამ საერო-საშვილიშვილო საქმის წამოწყებისთვის და გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა თქვენთვის ჩვეული შემართებით კიდევ დიდხანს შეძლოთ მრავალი კეთილი საქმის კეთება.

**მადლიერებით და ულრმესი პატივისცემით,**

**ლევან გვაზავა,**
**პროფესორი**

# გათავხედებული მესაჯდომეები,

## ანუ დემოკრატიაზე მოძალადე აგრესიული ლიბერალიზმი

**გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მონაბერმა ლიბერასტულმა სიომ საქართველოსაც შემოუქიქინა, რომლის მესაბერველეებადაც არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინკუბატორში გამოჩეკილი სხვადასხვა ჯურის ლიბერასტ–დემოკრატები მოგვევლინნენ. და როცა ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე, ფეისბუქში გავრცელებული ერთი ფოტო გამახსენდა, რომელზეც კბილებამდე შეიარაღებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჯარისკაცები წიხლით ამტვრევენ მუსულმანური სოფლის მცხოვრების ალიზის სახლის კარს. ფოტოს ქვემოთ კი წარწერაა: Открывай падла, демократия пришла!**

ამ „ჩვენმა“ ლიბერასტებმა დემოკრატიის გაუკუღმართების მიზნით გადაწყვიტეს, რომ მუხას შესეული მუმლივით ჯერ გაეხმოთ ხე და მერე მასზე ახალი, ჩვენთვის მიუღებელი ნერგი დაემყნოთ. ამისათვის მათ ჯერ „ჩარეცხილების ინსტიტუტი“ შემოიღეს, შემდეგ კი შეეცადნენ, საქართველო ე.წ. „ერ-კორპორაციად“ (Nation-corporation) ჩამოეყალიბებინათ.

„ერი-კორპორაცია“, რომელიც უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად მკვიდრდებოდა, თავის თავში საზოგადოების ერთი ავტორიტარისთვის გადაცემას გულისხმობს. ავტორიტარი დემოკრატიის და სხვა ფასეულობების უგულებელყოფით (მაგ. პოლიტიკური თავისუფლება) დროის მცირე მონაკვეთში ამკვიდრებს ლიბერალიზმს (მაგ. ეკონომიკურ თავისუფლებას). შედეგად კი იმპლაციტურად ვღებულობთ „ერი-კორპორაციის“ მოდელს.

ფაქტობრივად ყველაფერი აქეთ მიდიოდა. სააკაშვილი იყო არა პრეზიდენტი, არამედ დირექტორი. მოქალაქეები იყვნენ არა ამომრჩევლები, არამედ კორპორაციის თანამშრომლები და უმუშევრები, რომელთა ნებისმიერ პროტესტს ჩაახშობდა პოლიცია, ანუ კორპორაციის მესაკუთრეთა მცირე ჯგუფის დაცვის სამსახური.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მაინცადამაინც არ გამოვიდა „ერი-კორპორაცია“. არ გამოვიდა მრავალი სხვადასხვა სუბიექტური, თუ ობიექტური მიზეზის გამო, რომელთა ჩამოთვლას აქ არ დავიწყებ.

**ამ პრობლემის გადასალახად ამ „ჩვენმა“ ლიბერასტებმა საკმაოდ მარტივ მეთოდს მიმართეს.**

**მათ ჯერ დასავლეთში უკვე აპრობირებული „აგრესიული ლიბერალიზმი“ გამოიყენეს, ხოლო შემდეგ „ლიბერასტული ქველმოქმედება“ მოიგონეს.**

„აგრესიულმა ლიბერალიზმმა“ გარკვეულწილად გაამართლა. გაამართლა, რადგანაც ის ხალხი, ვისაც მედიასაშუალებები ლიბერასტთა ქმედებებზე კომენტარის გასაკეთებლად იწვევდნენ, „რატომღაც“ მუდამ თავის მართლების რეჟიმში გამოდიოდა.

ისმოდა ფრაზები: ჩვენ, ქართველები, მუდამ ტოლერანტულები ვიყავით. ნახეთ მეიდანი, იქ ერთად დგას სიონი, მეჩეთი, სომხური სამოციქულო ეკლესია და სინაგოგა. ჩვენ არ ვერევით სექსუალური უმცირესობების პირად ცხოვრებაში დ.ა.შ.

ეს „თავის მართლება“ საკმაოდ დაჩაგრული ინტონაციით ისმოდა. რა თქმა უნდა, იყო მჭახე გამონათქვამებიც, მაგრამ ისინი ისე იკარგებოდნენ ლიბერასტების აგრესიასა და ტოლერანტი ექსპერტების პოლიტკორექტულ მსჯელობაში, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

აგრესორებმა და მათდამი ტოლერანტულად განწყობილმა ხალხმა საზოგადოების დასაშინებლად გაავრცელეს კიდევ ერთი, მეტად უცნაური „რეკომენდაცია“: – არ ავყვეთ, პროვოკაციაა!

ამ „რეკომენდაციასთან“ დაკავშირებით სოციალურ ქსელ ფეისბუქზე გავრცელდა საკმაოდ საინტერესო სტატუსი, რომელიც ზუსტ კითხვებს სვამს და პასუხის გაცემას როგორც ხელისუფლებისგან, ასევე საზოგადოებისგანაც ითხოვს.

**„საოცარი ხალხი ვართ ქართველები! პედერასტები პირველ სკოლასთან, ჩვენი შვილების თვალწინ, თავიანთი უკანალის პიარს ჩალიჩობენ და ნუ გავაპროტესტებთ – პროვოკაციაა!!! შუა თბილისში არაბები დათარეშობენ, პატიოსან საქართველოს მოქალაქე (!) ქალბატონს აღმაშენებელსა და რუსთაველზე ვერ გაუვლია და ნუ გავაპროტესტებთ – პროვოკაციაა!!! ბათუმში, 21-ე საუკენის დიდთურქობა დაიწყო, ქუთაისის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორიები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ოკუპირებულია და ნუ გავაპროტესტებთ – პროვოკაციაა!!! უცხოური წარწერებითაა აჭრელებული აბრები და ნუ გავაპროტესტებთ – პროვოკაციაა!!! და კიდევ ერთი საოცრება – მიტინგებით და დემონსტრაციებით გამოხატული საქართველოს მოქალაქეების (!) მშვიდობიანი პროტესტი (ხაზს ვუსვამ მშვიდობიანი) ხელისუფლების მიმართ, რომ დაცული იქნეს ამ ქვეყნის უმრავლესობის (!) უფლებები, რატომ ეწინააღმდეგება ჩვენს ტოლერანტობას?“**

**მოკლედ რომ ვთქვა, საქართველოში ლიბერასტულმა დაჯგუფებებმა საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენეს დაშინების მექანიზმი. გამოიყენეს იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ მათ აქტიურად უწყობენ ხელს, უწინარესად, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და ჯერაც მათი კონტროლქვეშ მყოფი ე.წ. „ნაციონალური ტელევიზიები“.**

ყველამ კარგად იცის, რომ აგრესორ ლიბერასტებს დღევანდელ ხელისუფლებაშიც საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავთ რესპუბლიკური პარტიის სახით. რესპუბლიკური პარტია მხოლოდ პარლამენტში არ „გრიმიტობს“. მის დაქვემდებარებაშია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და მარადგამჭვირვალე არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი კოჰორტა, რომლებიც ლიბერასტების პირველივე დაძახილზე, საზოგადოების ცხვირწინ სხვადასხვა კომისიისა თუ მონიტორის დასკვნებს აფრიალებენ. სხვადასხვა ევროპარლამენტარის შეშფოთებებს ახმიანებენ და ნატოს კარის ჩაკეტვით იმუქრებიან.

**არადა, გულზე ხელი დავიდოთ და პირდაპირ: ვიკითხოთ რა უფრო აშფოთებს საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას: ამათი შეშფოთებები და მითიურ ნატოში არშეშვება, თუ საკუთარი ოჯახის დაცვა სხვადასხვა ჯურის ახუნტრუცებული ლგბტ ინდივიდებისგან?**

**რა უფრო სჯობს საქართველოს მოქალაქეებისთვის: სტრატეგიული პარტნიორის „ნახმარი“ მონის პოზაში ყოფნა, თუ ისეთი პარტნიორის მოძებნა, რომლისთვისაც მსგავსი ლიბერასტიზმი მიუღებელია? (მაპატიეთ ასეთი პირდაპირობისთვის, მაგრამ ასეთ დროს პოლიტკორექტულობა ჩემთვის ნამდვილად მიუღებელია).**



ახლა ვნახოთ მეორე მეთოდი, ანუ „პედერასტული ქველმოქმედება“, რომელიც ასევე დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით გადმოიღეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ ვერ განახორციელეს.

ყველამ კარგად ვიცით, რას წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“. ჰოდა, ამ „იდენტობას“, იხილა რა ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან უსახლკარო ადამიანების იგნორირება, გული აუჩუყდა და ამ რამდენიმე დღის წინათ თავშესაფრის დაარსების ინიციატივით გამოვიდა. გთავაზობთ მათ მიერ გავრცელებულ განცხადებას:

**იდენტობა თავშესაფრის დაარსების ინიციატივით გამოდის:**

- **იდენტობას განზრახული აქვს სრული ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება ოჯახებისათვის, რომლებიც სამუშაოს, შემოსავლის ალტერნატიული წყაროსა და საცხოვრებლის გარეშე არიან დარჩენილნი.**
- **თავშესაფარი არ არის გამიზნული არასრულწლოვანი პირებისათვის, თუმცა, იქ შესახლებული ადამიანები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებსაც თან ახლავთ მცირეწლოვანი ბავშვებიც.**
- **4-თვიანი პროგრამა ითვალისწინებს ექიმის, იურისტის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და დასაქმების სპეციალისტის, ასევე მოხალისეთა ფართო ჩართულობას ამ ადამიანთა გაძლიერებისათვის, პროფესიული გადამზადებისა და დასაქმებისათვის.**

ერთი შეხედვით, ამ განცხადებაში ცუდი არაფერია. პირიქით, რაც მეტი ადამიანი ჩაერთვება ამ დიდი პრობლემის გადაჭრაში, მით უკეთესი, მაგრამ... აი ის „წყეული მაგრამ“, რომელიც ძალიან ხშირად ისმის და ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევაში ბევრ რამეს ხდის ფარდას.

**ყოველგვარი ფილოსოფიურ-ლიტერატურული ჩახუჭუჭების გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ „იდენტობის“ მიერ მოწვეული ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და მოხალისეების მიერ ჩატარებული „ტრენინგები“ და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები საკმაოდ გაზრდის რუსთაველზე უკანალის ქიცინის მსურველთა რიცხვს (განურჩევლად იმისა, გახდებიან თუ არა ისინი პედერასტები თუ ლესბოსელები. მიწოდებულ ლუკმას გამომუშავება უნდა). გაზრდის მათი მხრიდან საზოგადოების წინააღმდეგ განსახორციელებელი აგრესიის ხარისხს („აი ჩვენ პედერასტები რა კარგები ვართ. მიუსაფარ ადამიანებს ვიცავთ. შუა საუკუნეებში ჩარჩენილ ტრადიციებზე ჩაციკლული საზოგადოების „გოიმი“ ნაწილი კი გვებრძვის“). გაზრდის დონორების მხრიდან გამოყოფილი გრანტების რაოდენობას, რომელთა დიდი ნაწილი ბუნებრივია ლგბტ არსებების პროპაგანდაზე წავა და გაზრდის კიდევ სხვა მრავალ უბედურებას, რომელიც ამ არსებების მხრიდან ემუქრება ნორმალურ ადამიანებს.**

ცოტა ხნის წინ „იდენტობამ“ მეორე განცხადება გაავრცელა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

- **თავშესაფრის ბინადრებს და ორგანიზატორებს ძალადობის საფრთხე დაემუქრა.**
- **მას შემდეგ, რაც ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, რომ თბილისში უსახლკარო ოჯახებისთვის თავშესაფარი გაკეთდებოდა, ამ ადამიანებზე ამჯერად მაინც, ყურადღების მიქცევის ნაცვლად, ფოკუსში ორგანიზაცია იდენტობა მოექცა.**
- **მრავლად გაისმა თავშესაფარსა და ორგანიზატორებზე თავდასხმის მუქარა. 17 მაისის გამოცდილების გათვალისწინებით, ეს ამ ეტაპზე შეუძლებელს ხდის უსახლკარო ოჯახების დახმარების პროცესის მშვიდობიან და პროფესიონალურ ორგანიზებას.**
- **საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის რიგმა წარმომადგენლებმა და სხვა აგრესიულად განწყობილმა დაჯგუფებებმა, მათ, ვინც 17 მაისს ადამიანთა სიძულვილის წინააღმდეგ მიმართული აქცია ძალადობრივად ჩაშალა, საჯაროდ განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ აღნიშნული თავშესაფრის ფუნქციონირებას.**
- **საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების და მათთან ერთად მედიის წარმომადგენლები კვლავ ლეგიტიმურ მხარედ წარმოაჩენენ ამ მოძალადე დაჯგუფებებს.**

„იდენტობამ“ თავისი სურვილი ამჯერადაც აისრულა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტიპებს არანაირად არ აწუხებთ მიუსაფარი ადამიანების ბედი. არ აწუხებთ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში 17 მაისს აქციას არა პედერასტების, არამედ გაჭირვებული ადამიანების დასაცავად გამართავდნენ.

ამ განცხადებით ძალიან ნათლად გამოჩნდა „იდენტობის“ დამოკიდებულება საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებთან მიმართებაში (ეკლესიაზე და საზოგადოებაზე არაფერს ვამბობ. ეს ყველასთვის ცნობილია).

**მოკლედ რომ ვთქვა, ლგბტ-ებმა „ქველმოქმედება“ კვლავ აგრესიად აქციეს.**

**მივმართავ ხელისუფლებას:**

**1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურები ყურადღებით გაეცნონ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ ამ განცხადებას და ანტისახელწიფოებრივ გამონათქვამებზე მიიღონ შესაბამისი ზომები (საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების და მათთან ერთად მედიის წარმომადგენლები კვლავ ლეგიტიმურ მხარედ წარმოაჩენენ ამ მოძალადე დაჯგუფებებს. ე.ი. ხელისუფლება ახდენს მოძალადე ჯგუფების ლეგიტიმაციას, ანუ ძალადობის მომხრე ხელისუფლება გვყავს!)**

**2. ფინანსთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა გააკონტროლონ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტი (წარმომავლობა, რამდენად ჯდება დასაფინანსებელი მიმართულება საქართველოს სახელწიფოსა და მოსახლეობის ინტერესებში).**

**3. საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს ჰომოსექსუალიზმის და მსგავსი გაუკუღმართებული ცხოვრების წესის აგიტაცია-პროპაგანდა (მით უმეტეს, რომ ასეთი აკრძალვების პრეცედენტები რუსეთსა და ბელორუსში უკვე არსებობს და ამ ქვეყნებს არც თავიანთი მოსახლეობის და არც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რამდენიმე შეშფოთებული უკანალმოქიცინის წკმუტუნის გარდა, არაფერი დაშავებიათ).**

რაც შეეხება საზოგადოებას და მედიას, ცხადია, რომ მათ არ მოვუწოდებ ძალადობისკენ, მაგრამ სრული იგნორირება, დაცინვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნამდვილად აუცილებელი და საშური საქმეა.

**დაბოლოს, მინდა, ვთქვა, რომ ლიბერასტიზმის აგრესიული გამოვლინება იწვევს გაუკუღმართებულ დემოკრატიას, ნამდვილი, ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებების გაუფასურებას და საზოგადოებაში ზრდის იმ ანტიპათიას, რომელიც „ჩვენი“ აგრესორების „მოღვაწეობამ“ ყოველგვარი ამერიკულისა და დასავლურის მიმართ წარმოშვა. ეს აუცილებლად უნდა შეაფასონ ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა და ცოტა ლაგამი უნდა ამოსდონ თავიანთ „დემოკრატ იდეოლოგებს“, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში დგებიან იმ საშიშროების წინაშე, რაც „დემოკრატიის გამარჯვების“ შემდეგ ლიბიაში მოხდა.**

**კიდევ ბევრი რამის დაწერა შემეძლო, მაგრამ ძალიან გამიგრძელდება სიტყვა და ამიტომ არააგრესიული და არალიბერასტული სურვილებით დაგემშვიდობებით.**

**გია გაბრიჭიძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# რა ელის საქართველოს სააკაშვილის და ივანიშვილის წასვლით?

**რა ელის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, როდესაც მისი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სცენას ტოვებენ?**

**ორი კაშკაშა, საინტერესო და არაპროგნოზირებადი ლიდერის დაკარგვა, შესაძლოა, ვინმემ პოლიტიკური არასერიოზულობის მწვერვალად მიიჩნიოს, მაგრამ ეს საქართველოს ბედისწერაა, სადაც პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც სცენას ტოვებენ.**

მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი არა ხელიხელჩაკიდებული, არამედ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით მიდიან, მათ მხოლოდ ურთიერთმტრობა აერთიანებთ. ერთი შეიძლება გამომძიებლებმა დაკითხონ, მეორე კი კულისებში გადაინაცვლებს, საიდანაც, შესაძლოა, საკუთარი ახალგაზრდა მემკვიდრე მართოს.

მათი ერთდროული წასვლა ასრულებს ხმაურიან ათწლიან პერიოდს, რომელმაც საქართველო კორუფციული ქვეყნიდან და ექსსაბჭოთა ჭაობიდან გარდაქმნა დასავლეთის მთავარ მოკავშირედ სტრატეგიულ რეგიონში, სადაც დემოკრატიულ, პროდასავლურ სახელმწიფოებზე დიდი მოთხოვნაა.

### ვარდების რევოლუცია

**2003 წლის ნოემბერში, სააკაშვილი სათავეში ჩაუდგა „ვარდების რევოლუციას“, მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ტალღას, რომელმაც საქართველოს საბჭოთა ეპოქის ძველი გვარდია ახალგაზრდა ელიტით შეცვალა, ადამიანებით, რომელთაც სურდათ ქვეყნის გათავისუფლება რუსეთის ბატონობისგან და მისი შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოება.**

სააკაშვილის თავდაპირველი მიღწევები შთამბეჭდავი იყო. მან ბრძოლა გამოუცხადა მექრთამეობას და ბიუროკრატიას და დაიწყო იმ ქვეყნის მოდერნიზება, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან შეჩვეული იყო დაუდევრობას, დანაწევრებას და ელექტროენერგიის მუდმივ დეფიციტს.

მაგრამ საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების და დასავლეთთან კავშირების დათბობის პარალელურად, თბილისს სულ უფრო დაეძაბა ურთიერთობა მოსკოვთან და საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომლებსაც კრემლი ზურგს უმაგრებდა. ამ დაძაბულობამ კულმინაციას 2008 წლის ომის დროს მიაღწია, რომელიც იყო ხანმოკლე, მაგრამ კატასტროფული საქართველოსათვის.

სააკაშვილი უარყოფს, რომ მან დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე ბრძანების გაცემით, მაგრამ იმან, თუ როგორ მართავდა ის კონფლიქტს, ბევრი ადამიანი დაარწმუნა იმაში, რომ ის ფიცხი და იმპულსურია, და რომ კრიზისის დროს მისი ნდობა არ შეიძლება.

ეს შთაბეჭდილება სააკაშვილმა გაამყარა იმით, რომ სულ უფრო უხეშად ეპყრობოდა დემონსტრანტებს, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს და კრიტიკულად განწყობილ მედიას, რამაც ოპოზიციის დემორალიზება მოახდინა. ივანიშვილმა – იოგას მოყვარულმა მაგნატმა, შესანიშნავი არტკოლექციითა და კერძო ზოოპარკით – ეს ყველაფერი შეცვალა.

### უზარმაზარი ქონება

**ივანიშვილი ამბობს, რომ ის პოლიტიკაში, რომელსაც დღემდე ვერ იტანს, ვალდებულების გამო ჩაერთო, რადგან ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც შეეძლო სააკაშვილის გასტუმრება, რომლის ადრეულ რეფორმებსაც ის მხარს უჭერდა და აფინანსებდა კიდეც იმ უზარმაზარი ქონებიდან, რომელიც მან რუსეთში ბიზნესსაქმიანობით დააგროვა.**

ივანიშვილმა დანაწევრებული ქართული ოპოზიცია გააერთიანა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რომლითაც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილი დაამარცხა და თავად პრემიერ-მინისტრი გახდა.

გასულ თვეში, სააკაშვილის მემკვიდრის პოზიციისთვის რბოლაში ივანიშვილის პროტეჟემ გაიმარჯვა. სააკაშვილს კანონით ამ თანამდებობაზე მუშაობა მხოლოდ ორი ვადით შეეძლო. მაშინ როდესაც ძველი პრეზიდენტის უფლებამოსილებათა დიდი ნაწილი დღეს პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის, პრეზიდენტის სასახლეში კი მისი კაცია, 57 წლის ივანიშვილს მართვა საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია, მაგრამ არ უნდა.

მან მემკვიდრე პრემიერ-მინისტრის პოსტზეც დაასახელა – 31 წლის ირაკლი ღარიბაშვილი – და ახალი პრეზიდენტის, 44 წლის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის შემდეგ პოლიტიკის დატოვებისთვის ემზადება.



ივანიშვილი ამბობს, რომ მან ხელისუფლებაში ერთწლიანი ყოფნის პერიოდში საკმარისი გააკეთა. იმ დროს, როდესაც სააკაშვილი მიდის, ხოლო მისი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების მიღმაა, მილიარდერს მიაჩნია, რომ საქართველო სტაბილური ქვეყანაა, სანდო ხელშია, და ახლა მან თავისი ძალისხმევა სამოქალაქო სექტორის განვითარებისკენ უნდა მიმართოს.

**„მე კი არ გავურბივარ პასუხისმგებლობას, არამედ მივდივარ ისეთ ადგილას, სადაც უფრო საჭირო ვარ“,** – უთხრა ამ ზაფუხლს ივანიშვილმა The Trish Times-ს.

**„ვფიქრობ, წინ დაახლოებით 20 აქტიური წელი მაქვს, და ამ დროში მინდა ტიპური ევროპული სტილის საზოგადოების აშენება საქართველოში“.**

მოგვიანებით მან თქვა, რომ მთავრობას შეუძლია, რჩევისთვის მიმართოს, მას შემდეგ რაც გადადგება, **„მაგრამ ეს მოხდება სულ უფრო იშვიათად და იშვიათად... მე არ ვაპირებ კითხვების დასმას და ბრძანებების გაცემას კულისებიდან“.**

### კულისებიდან მართვა

**სააკაშვილს და მის მოკავშირეებს ამის არ სჯერათ. ისინი ამბობენ, რომ ივანიშვილი „დონ კორლეონესავით“ იმოქმედებს მარიონეტი პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის პირობებში“ ეს არის 1990-ინი წლების რუსი ოლიგარქის ოცნება – პროცესების კულისებიდან მართვა პასუხისმგებლობის გარეშე“.**

45 წლის სააკაშვილის პერსპექტივა კიდევ უფრო ბუნდოვანია. მას შეიძლება მოუწიოს გარკვეულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა გამოძიებისათვის, ისევე როგორც მის მოკავშირეებს (მათ შორის, მინისტრებს), რომლებიც დაკითხეს, ბრალი წაუყენეს და გაასამართლეს სავარაუდოდ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაშვებული გადაცდომების გამო.

**„სააკაშვილი პოლიტიკური გვამია“,** თქვა გასულ თვეში ივანიშვილმა. **„ვფიქრობ, ბევრი კითხვა არსებობს, რომელზეც სააკაშვილმა პასუხი უნდა გასცეს, შესაბამისად, დიდი ალბათობაა, რომ მას დაკითხავენ“.**

ივანიშვილმა დასძინა, რომ ის არ შეეცდება თავისი მოწინააღმდეგის დაკავებას, და თქვა, რომ **„ევროპელები და ამერიკელები“ მეგობრულად გვირჩევენ, რასაც მე ვეთანხმები: ჩვენი ქვეყნის ინტერესებს არ წაადგება ის, რომ ჩვენი პრეზიდენტი ციხეში წავიდეს“.**

ახალი პრემიერი და პრეზიდენტი ამბობენ, რომ მათ სურთ საქართველოს ეკონომიკის გაცოცხლება, უცხოური ინვესტიციების გაზრდა და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება.

იმ შემთხვევაშიც, თუკი ისინი თავიანთ მიზნებს მიაღწევენ, მათ გაუჭირდებათ თავიანთ წინამორბედებზე მეტი შთაბეჭდილების მოხდენა.

**დენ მაკლაფლინი**
**The Irish Times**

**ჩვენ და ევროკავშირი**

# პოზიტიური ზეწოლა

**ამას წინათ საერთაშორისო დონორთა მიერ საქართველოში ანტიკორუფციული პოლიტიკის შეფასების 2004 წლის დოკუმენტს გავეცანი. ყველაზე საგულისხმო ამ დოკუმენტში იყო ის, რომ შემფასებლებმა ძალიან ზუსტად განსაზღვრეს ის საფრთხეები და გამოწვევები, რაც სააკაშვილის მთავრობას ელოდა, მათ შორის ძალაუფლებით ტკბობა, ხალხისგან დაშორება და სამოქალაქო საზოგადოების კონტროლს მიღმა დარჩენა. ერთი, რაც დონორებმა ბოლომდე ვერ განჭვრიტეს, იყო ღირებულებათა სისტემების ის მძაფრი კონფლიქტი, რაც დონორთა ხელშეწყობით სააკაშვილის ხელისუფლების მიერ საზოგადოების დაჩქარებული ტემპით მოდერნიზების მცდელობას მოჰყვა. დოკუმენტში კიდევ ერთი ფრაზა „Support and Positive Pressure“ (მხარდაჭერა და პოზიტიური ზეწოლა) მომხვდა თვალში, რომელიც შეიძლება გავიგოთ როგორც მხარდაჭერის პარალელურად მოცემული პრინციპული რჩევები, რომელთა შეუსრულებლობაც თანამშრომლობის, მხარდაჭერისა და დახმარების შემცირების ან სულაც გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს.**

„პოზიტიური ზეწოლა,“ რომელიც თითქმის არასდროს გასცილებია დიპლომატიური ტაქტის და ეტიკეტის ფარგლებს, ბევრმა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად და ერის შეურაცხყოფადაც კი აღიქვა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც თომას ჰამერბერგისადმი ჩვენი საზოგადო მოღვაწეების ერთი ნაწილის მიერ გაგზავნილი საკმაოდ მკვახე შინაარსის ღია წერილი. შეგახსენებთ, რომ თავის ანგარიშში ჰამერბერგმა, რომელიც სამართლებრივ და ადამიანის უფლებების საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველია, საქართველო და მისი ხელისუფლება გააკრიტიკა სექსუალური, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების არასაკმარისი დაცვის გამო.

ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის დაუფარავი აღშფოთება მოჰყვა აშშ-ისა და ევროკავშირის საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე ზეწოლას სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა სამართლებრივი დევნის გამო, რომელიც დასავლეთში პოლიტიკურ დევნად და შერჩევითი სამართალის პრეცედენტებად აღიქმება. აქ არ შევუდგებით იმის განხილვას თუ რატომ აღიქვამენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები და დონორები პოლიტიკურ ანგარიშსწორებად ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ განხორციელებულ სამართლებრივ ქმედებებს, რომელიც კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს. ეს ცალკე განსახილველი თემაა.

ხოლო მათ, ვისაც დასავლეთის „პოზიტიური ზეწოლა“ არ მოსწონს, შევახსენებთ, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიღწეული პროგრესი მნიშვნელოვანწილად „მხარდაჭერისა და პოზიტიური ზეწოლის“ შედეგია. მოდით, ვაღიაროთ, რომ „პოზიტიური ზეწოლის“ არარსებობის პირობებში ჩვენი ქვეყნის არც ერთი ხელისუფლება არ იყო მოწადინებული ბოლომდე შეესრულებინა ის რეკომენდაციები და რჩევები, რომელთაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები დახმარებისა და მხარდაჭერის პარალელურად გვთავაზობდნენ. ის კი არადა ბევრი რეკომენდაცია ზეწოლის მიუხედავად, დღემდე შეუსრულებელი რჩება, რის გამოც ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციაც დროში იწელება.

რაც უფრო ვუახლოვდებით ევროპას, მით უფრო მკაფიოდ ვდგებით ზოგიერთი ჩვენი ტრადიციისა და ადათ-წესის გადახედვის ან გაუქმების აუცილებლობის წინაშე. იგივე შეიძლება ითქვას ათწლეულობით ჩამოყალიბებულ მიდგომებზე პრაქტიკულად ყველა სფეროში, მათ შორის მართლმსაჯულებაში, რომლებსაც ჯერ კიდევ მრავლად ატყვიათ საბჭოური ატავიზმის ნიშნები. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ დასავლეთიდან „პოზიტიურ ზეწოლას“ ამ გარდაქმნების დაჩქარების მიზნით, ქართულ საზოგადოებაში ბევრი ფარული და აშკარა მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომლებმაც კომფორტული ფსიქოლოგიურ-მენტალური გარემოდან ამოვარდნის საფრთხე იგრძნეს. 17 მაისის ცნობილი დარბევა და ევროპულ ღირებულებებთან და პრინციპებთან შეუთავსებელი სხვა მოვლენები ამის ნათელი დემონსტრირებაა. სხვათა შორის, ჰამერბერგისადმი გაგზავნილი ცნობილი წერილი მხოლოდ აისბერგის წვერია. პროცესს გაცილებით უფრო სიღრმისეული ხასიათი აქვს.

ამიტომაც ევროპასთან რეალური ინტეგრაცია ღირებულებითი ინტეგრაციით უნდა დაიწყოს და არა მხოლოდ ფორმალური პროცედურებით, რომლითაც ხელისუფალნი მოსახლეობის „დაბოლებას“ ცდილობენ.

საქართველოში ევროინტეგრაციასთან დამოკიდებულებაზე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები და საზოგადოების რეალური განწყობები ერთმანეთისგან პარადოქსულად განსხვავდებიან. მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარ თავს ევროპელად არ მიიჩნევს და ევროპელივით არ იქცევა, თუმცა, გამოკითხვის დროს სრულიად დარწმუნებულია ქვეყნის ევროინტეგრაციის აუცილებლობაში. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ევროპა ასოცირდება კარგ, უზრუნველ ცხოვრებასთან, თავისუფლებასთან, დაცულობასთან და ა.შ.

ამგვარი მდგომარეობის ფესვები კი ადამიანების განათლებულობასა და ცნობიერებაში უნდა ვეძებოთ. ცნობიერების ევროპულ რელსებზე გადაყვანას სხვა ფაქტორებთან ერთად ისიც უშლის ხელს, რომ ევროინტეგრაციის შესახებ თითქმის ყველა საჯარო დისკუსია (მცირე გამონაკლისის გარდა) ძირითადად ეძღვნება იმ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს, რასაც საქართველო ევროკავშირისგან ელოდება (სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და ა.შ.). ძალიან ცოტა ან თითქმის არაფერი ითქმის იმ ევროპულ ტრადიციებსა და ფასეულობებზე (თუნდაც უმცირესობებთან და მათ უფლებებთან მიმართებაში) რომელთა გაზიარების გარეშეც რეალური ევროინტეგრაცია უბრალოდ წარმოუდგენელია. 17 მაისის მოვლენები იყო ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი, თუ გნებავთ ტესტი საზოგადოებისათვის. ამ მოვლენებზე ევროპის მკაცრი რეაქციისა და „პოზიტიური ზეწოლის“ შემდეგ ჩვენმა საზოგადოებამ გაიგო, რომ ევროპაში ინტეგრაციას თავის საფასური აქვს. თუმცა, იქვე აღმოჩნდა, რომ საზოგადოების საკმაოდ ანგარიშგასაწევ ნაწილს ამ საფასურის გაღება არ სურს.

იქნებ ეს იმიტომაც ხდება, რომ ევროკავშირისადმი ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს და როდესაც ამ „მომხმარებლური ჩარჩოების“ გარეთ გასვლა უწევთ, თავს მყისვე არაკომფორტულად გრძნობენ. „ღირებულებათა ჩიხი“ შეიძლება ვუწოდოთ იმ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენი საზოგადოება აღმოჩნდა მოცემულ ეტაპზე. პერმანენტულმა დაპირისპირებამ „ტრადიციონალისტებსა“ და „მოდერნისტებს“ შორის, ასევე თაობათა კონფლიქტმა გამოიწვია ის, რომ დღემდე ვერ შედგა პოლიტიკური ელიტებისა და საზოგადოების კონსენსუსი ქვეყნის ორიენტაციისა და საზოგადოების ფუნდამენტალური ღირებულებების თაობაზე.

იხ. 6 გვ.

## მშიერი ეკონომიკა

### შექმას გადაურჩა მხოლოდ ნაცმთავრობა, რომელიც მონოპოლისტებს ჩაეხუტა

**როცა მონოპოლიასა და მონოპოლისტებზე ვიწყებ წერას, არ შემიძლია „გულმხურვალედ“ არ გავიხსენო აწ უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი (პოლიტიკურად გარდაცვლილი) ნაცების მმართველობის წლებში „ეკონომიკის მამად“ წოდებული კახა ბენდუქიძე, რის გამოც მკითხველს, უსიამოვნო ფიქრების აშლისათვის, ბოდიში მინდა მოვუხადო. რას ვიზამთ, ბევრს შეიძლება ამავე მიზეზით აგერ ახლახან გარდაცვლილი (კვლავ პოლიტიკურად, ცხადია) მიხეილ სააკაშვილის ხსენებაც არ ეპიტნავებოდეს, მაგრამ ჭეშმარიტებას საით გავექცევით. ფაქტია, სააკაშვილი და ძმანი მისნი, რომელნიც ცდილობდნენ, დავერწმუნებინეთ, რომ ქვეყანას აშენებდნენ (ახლაც იმავეს იმეორებენ), სინამდვილეში ცრუობდნენ და საკუთარ სამშობლოს აყვავების ნაცვლად ანგრევდნენ.**

ასეა, ნაცების მთავრობამ ვერ შექმნა ეკონომიკა (ამას შრომა სჭირდებოდა და არა ტრაბახი), მაგრამ სამაგიეროდ შექმნა და განავითარა მონოპოლიზმი, რომელმაც გააღატაკა ქვეყანა და უზომოდ გაამდიდრა მსხვილი ჩინოვნიკობა, რომელიც მიმნდობად და გუნებიერად ჩაეხუტა მთავრობის ხელდასხმით წახალისებულ ასევე მსხვილ-მსხვილ მონოპოლისტებს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, აღარავის ახსოვდა მცირე და საშუალო მეწარმეები, რომლებიც ბიზნესის კეთების სიიოლით მთელ მსოფლიოში უპირველესად აღიარებულ საქართველოში მთლიანად შთანთქეს, ერთი მხრივ, მსხვილმა, ხელისუფლებასთან შეკრულ-გარიგებულმა მონოპოლისტებმა, და მეორე მხრივ, დრაკონულმა საგადასახადო ტარიფებმა, რომლის შემდეგ მეწარმეები, როგორც წესი, წელში ველარ იმართებიან და წყვეტენ საქმიანობას.

ბუნებრივია, ასეთ საქართველოში არსებობა მხოლოდ იმ მონოპოლისტებისთვის იყო გარანტირებული, ვინც ხელისუფლებასთან წილნაყარი აღმოჩნდებოდა. განაჩენი წინასწარ იყო გამოტანილი: ან იქნებოდი მთავრობასთან ჩახუტებული და იმუშავებდი, ან საერთოდ გაკოტრდებოდი და ვერ იარსებებდი. რაც შეეხება საკუთრივ მთავრობას, ის ყოველმხრივ და ყველაფერზე გარანტირებული ბრძანდებოდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისეთი კორუმპირებული და სიმდიდრით გაზულუქებული ხელისუფლება არასოდეს ჰყოლია (არადა, გვარწმუნებდნენ, კორუფცია ძირფესვიანად ამოვძირკვეთო), როგორიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჰყავდა.

ვიცი, ნაცუმცირესობა გამინაწყენდება და მომთხოვს — ამდენს რომ ქაქანებ, იქნებ მაგ კორუმპირებულთაგან ერთი მათგანი მაინც დაგვისახელოო. ჰოდა, მეც „გაჭირვებულმა“ აღარ ვიცი, საიდან რა გამოვქექო და იძულებული ვხდები, ისევ სააკაშვილს მივაგდე. არადა, კაცმა რომ თქვას, მთელი მსოფლიო რომ შემოიარო, უკეთეს მაგალითს სად იპოვი. მთელმა დუნიამ იცის, ერთეული დიქტატორების გარდა, არც ერთ პრეზიდენტს არ უცხოვრია ისეთი ფუფუნებით, როგორითაც ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს ულატაკესი ქვეყნის ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი, არავის ჰქონია მისნაირი ზღაპრული სასახლე, არავის უყიდია საპრეზიდენტო „ბოინგი“, რომლის ფასიც ასეულობით მილიონი დოლარია, არავის აღმოჩენია ბიზნესის კეთების ისეთი „უნიკალური ნიჭი“, როგორიც სააკაშვილის ნათესავებსა და ოჯახის წევრებს. ამ ნიჭის წყალობით პრეზიდენტის დედამ, შეძლო, დაესაკუთრებინა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და უამრავი უძრავი ქონება, ძმას — ნავთობბიზნესი და სადაზღვევო სააგენტო, ბიძას — ოქროსა და სპილენძის საბადოები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

**მიხეილ სააკაშვილმა შექმნა ერთპიროვნული მართვის რეჟიმი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „დარგი“ იყო ელიტარული კორუფცია, რომელსაც ხორცპროდუქტების, მედიკამენტების ბაზართან და სხვა სფეროებთან ერთად, მონოპოლიზებული ჰქონდა ნავთობპროდუქტების ბიზნესიც. ამ დარგს, ისევე როგორც ხალხის გამფცქვნელ ლატარიასა და უმსხვილეს სამშენებლო კომპანიებს, ერთპიროვნულად აკონტროლებდა სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი და მსოფლიო მასშტაბით ცნობილი იარაღით მოვაჭრე (ამჟამად საფრანგეთში დაპატიმრებული) დავით კეზერაშვილი, რომელიც თავის სამფლობელოში კონკურენციას ახლოსაც არ აჭაჭანებდა. აბა ვინმეს გაებედა საწვავის საზღვარგარეთიდან შემოტანა! უცხოსათვის აზერბაიჯანის გზაც გადაკეტილი იყო და ფოთის ტერმინალიც, აქ ყველას და ყველაფერს განაგებდა სახელისუფლებო ელიტა, რომელიც საწვავზე სპეკულაციური ფასების წყალობით ყოველდღიურად მილიონობით ლარს იჯიბავდა.**

და ვინ იყვნენ ამ ყველაფრის ავტორები? როგორც უკვე ვთქვი, ნაცების კორუმპირებული ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომელთაც თავის დროზე ლამის თავები გაიგიჟეს (ვითომ აკლდათ

## ვემშვიდობებით მონოპოლიას, რომელმაც ქვეყანა ერთიანად გადაქოვა




სიგიჟე), ვიდრე ქვეყანაში ანტიმონოპოლიურ სამსახურს გააუქმებდნენ. მაშინდელ ეკონომიკის „უწმინდეს მამას“ ბენდუქიძეს საამისო საბაბიც გააჩნდა — მაგ სამსახურის მუშაკები მექრთამეობით გაირყვნებიანო — განაცხადა საჯაროდ და ქვეყანა რომ არ დაზარალებულიყო, გაუქმებული მუშაკების ფუნქცია (მექრთამეობა), მინისტრობასთან ერთად, თავადვე შეითავსა(!).

### „ითესება“ ახალი ეკონომიკა, მოსავალს მოგვიანებით მოვიმკით

**ასეთი იყო ვითარება მაშინ და, აქედან გამომდინარე, მონოპოლიანაჭამი ნაცისტური ეკონომიკაც. ღვთის მადლით, როგორც იქნა, საქართველოში ნაცების მმართველობა, ამ ცოტა ხნის წინათ კი ორხელისუფლებიანობა, დასრულდა. გაჩნდა იმედი იმისა, რომ ქვეყანაში ამის შემდეგ მაინც დამთავრდება პოლიტიკურ ძალთა გაჭიანურებული ძიძგილი, რაც მთავარია, სახელმწიფო მართვის სადავეებს ჩამოსცილდება „მაოხრებელ გზირად“ მონათლული სააკაშვილი, რომელიც კოჰაბიტაციური „თანამშრომლობის“ პერიოდში შინ თუ გარეთ ხარაბუზასავით დაბზუოდა და ქვეყნის განვითარების პერსპექტივას შხამიანი გველივით გესლავდა.**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყანაში ნაცების მიერ ერთიანად იავარქმნილი სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, რასაც წელსვე გლეხობის შემოსავლების საგრძნობი ზრდა მოჰყვა. არსებითია, რომ საქართველოში წლების მანძილზე დამკვიდრებული ეკონომიკური სისტემა იცვლება ახლით, რასაც თან ახლავს გარკვეული სიძნელეები, როდესაც პროცესის მონაწილენი უნდა გადაეწყონ ახალ სისტემაზე. ამ სიძნელემ, რა თქმა უნდა, ბიზნესწრეებში ერთგვარი შოკი გამოიწვია, რასაც ბუნებრივია, მოჰყვა ინვესტიციების შემოდინებისა და ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელება. მართალია ბიზნესი სახელისუფლებო რეკეტისგან გათავისუფლდა, მაგრამ დაპირებული სამართლიანობა არ დამკვიდრებულა, დაზარალებულებს ყაჩაღურად წართმეული ქონება უკან არ დაბრუნებიათ. **ხელმოცარული ბიზნესმენები მთავრობას სხვა დაპირებებთან ერთად იმასაც შეახსენებენ, რაც მეოცნებეებმა ხელისუფლებაში მოსვლამდე ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენასთან დაკავშირებით განაცხადეს, მაგრამ გახელისუფლების შემდეგ არ შეასრულეს. მათ ახლაც ახსოვთ, ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას ფარმაცევტული კომპანიების თავკაცებს რომ უსაყვედურა — წამლების სიძვირე მონოპოლისტების წყალობით არის გამოწვეული და მიხედეთო. ამას სწრაფი, თუმცა, ხანმოკლე რეაგირება მოჰყვა, მაგრამ პროცესი მალევე შეჩერდა და ფარმაცევტულ ბაზარზე, ისევე როგორც სხვაგან, დარჩა იგივე თამაშის წესები და იგივე არაჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც საერთაშორისო წესებსა და ნორმებს არ შეესაბამება.**

იდენტურია მდგომარეობა სხვა სფეროებშიც, კერძოდ, ხორბლის წარმოებასა და იმპორტში, რაც აისახება პურის ფასის სისტემატურ ზრდაში (რეგიონში ყველაზე ძვირი პური საქართველოშია). აზერბაიჯანულ კომპანია „კარმენის“ კლანჭებში მოქცეული წისქვილკომბინატები სულს ღაფავენ. როგორც წისქვილების მფლობელები აცხადებენ, გაკოტრების ზღვარზე დგანან და თუ კანონმა აზერბაიჯანული მონოპოლია არ შეზღუდა, ქართული ხორბლის მოყვანასაც აზრი დაეკარგება, ვინაიდან ადგილობრივ ფერმერებს ფასს ბაზარზე გაბატონებული ერთადერთი კომპანია „კარმენი“ უკარნახებს.

რას ფიქრობს ამის თაობაზე ახალი ხელისუფლება, რომელიც მეწარმეებს შეპირდა, რომ მოსვლისთანავე ქვეყანაში გაბატონებულ მონოპოლიზმს ბოლოს მოუღებდა და ბიზნესის თავისუფალი სუნთქვის საშუალებას მისცემდა? **როგორც ჩანს, მას ეს დაპირება არ დავიწყნია, ამ დღეებში პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე მუშაობა დასრულდა, ეკონომიკის სამინისტრომ ის უკვე მთავრობაში გადააგზავნა, იგეგმება კანონპროექტის სასწრაფო წესით პარლამენტში წარდგენა და წლის ბოლომდე დამტკიცება. 2014 წლიდან კანონი ძალაში შევა და სპეციალური სააგენტო პირველივე დღიდან შეუტევს ქვეყნის ბაზარზე გამეფებულ მონოპოლიას.**

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი არ მალავს, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება გაჭიანურდა (ამას, საკითხის სირთულით ხსნის), მაგრამ მიაჩნია, რომ ის გაამართლებს ბიზნესმენთა იმედებს, რომლებიც კანონის ამოქმედებას მოუთმენლად ელიან. შეიქმნება კონკურენციის სააგენტო, რომელიც ქვეყანაში არსებული მონოპოლიების დაშლასა და კონკურენტული ბაზრის გახსნაზე იმუშავებს. მინისტრი ირწმუნება, რომ კონკურენციის სააგენტო იქნება ძლიერი ბერკეტი იმისთვის, რომ საქართველოში გაიხსნას კარი ყველა სახის ბიზნესისთვის და ბაზარი ოლიგოპოლიური ინდუსტრიისგან გათავისუფლდეს.

მაგრამ ვინ ჩაითვლება მონოპოლისტად, არ გაინტერესებთ? კანონპროექტის მიხედვით მონოპოლისტად ჩაითვლება ის კომპანია, რომლის წილიც ბაზარზე 40 პროცენტს მიაღწევს. თუმცა, გამონაკლისის შემთხვევებში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება უფრო ნაკლები საბაზრო წილის ფლობაც ჩაითვალოს მონოპოლიის პირობად. ბიზნესმენმა, რომელიც მიიჩნევს, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიადგა ზიანი, კონკურენციის სააგენტოს უნდა მიმართოს.

ეს კარგია, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მიღება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია, — აცხადებს დასახელებული ბიზნესის ასოციაციის პრეზიდენტი კახა კოხრეიძე, თუმცა, ისე არ უნდა მოხდეს, რომ კანონი ბიზნესმენისთვის დამატებით ტვირთად იქცეს.

იქცევა თუ არა ეს კანონი ბიზნესისათვის დამატებით ტვირთად, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ ცხადია, ნაცების მოჩვენებითი, ფასადური ეკონომიკური პოლიტიკა, როცა ქვეყანაში ეკონომიკა პროცენტულად იზრდებოდა, ხალხი კი ამას ოჯახებში ვერ გრძნობდა, იცვლება ეკონომიკის რეალური ზრდისთვის რეალური პირობების შექმნით. როგორც ექსპერტები ამბობენ, „ითესება“ ახალი ეკონომიკა, როლისგანაც მოსავალს მოგვიანებით მოვიმკით.

**ოთარ ხუციშვილი**

## ჩვენ და ევროკავშირი

# პოზიტიური ზეწოლა

(მეხუთე გვერდიდან)

საქართველოს ევროპისკენ სწრაფვას კი ევროპაში სერიოზულად აღიქვამენ, მაშინ როდესაც ეს სწრაფვა მხოლოდ ოფიციოზის არტიკულირების დონეზე არ იქნება გამოხატული. ევროინტეგრაცია არ შედგება, თუ ევროპაში არ დაინახეს ევროპული ფასეულობების საკანონმდებლო დონეზე ხორცშესხმა, განსაკუთრებით კი ისეთ სენსიტიურ სფეროებში, რომლებიც ეხება ქსენოფობიის, ჰომოფობიის და უმცირესობების მიმართ ტოლერანტობის პრობლემებს. იგივე შეიძლება ითქვას სამართლიანობის აღდგენის სახელით ცნობილ პროცესზე, რომელიც დღეს ევროპასა და საქართველოს შორის ლამის მთავარ განხეთქილების ვაშლად იქცეს.

თუ ხელისუფლებას უნდა, ევროპას დაანახვოს, რომ საქართველო ევროპისკენ რეალურად მიისწრაფვის, მან, უპირველეს ყოვლისა, ევროპას უნდა დაანახვოს, რომ ამ არჩევანს რეალურად და გაცნობიერებულად უჭერს მხარს საზოგადოების და პოლიტელიტის აბსოლუტური უმრავლესობა. მაგალითად, მოლდოვის პროევროპულმა კოალიციურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ვილნიუსის სამიტის წინ ეს დაენახვებინა ევროპისათვის და 3 ნოემბერს კიშინიოვში მასშტაბური მრავალათასიანი აქცია მოაწყო, რომელზეც მოქალაქეებმა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციისადმი მხარდაჭერა გამოხატეს და რუსეთზე ორიენტაცია გააპროტესტეს. აქციამ, რომელსაც 100,000 ზე მეტი ადამიანი დაესწრო, აჩვენა, რომ ხელისუფლების პროევროპულ კურსს საზოგადოებაში საიმედო მხარდაჭერა აქვს. ბუნებრივია ამ ყოველივეს ბრიუსელში სათანადო შეფასება მიეცემოდა. არადა, საინტერესოა, რამდენი ადამიანი გამოვა საქართველოში ნებაყოფლობით მსგავს აქციაზე, თანაც ისე, რომ მათი მობილიზებისათვის ადმინისტრაციული რესურსი არ გამოვიყენოთ?!

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ევროპა საქართველოს უყურებს როგორც პაციენტს, რომლის გამოჯანმრთელების იმედი ჯერ კიდევ ბჟუტავს და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ტექსტის პარაფირება არის ის ერთ-ერთი სამკურნალო აბი, რომელიც უნდა გადაყლაპონ.

სამკურნალო კი ამ მხრივ ბევრი გვაქვს. ევროინტეგრაციის კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ არის სერიოზული პრობლემები. საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა ევროპაზე მყარად ორიენტირებული ძლიერი და მრავალრიცხოვანი საშუალო კლასი, რომელიც ევროპული ღირებულებების ყველაზე საუკეთესო პროპონენტი იქნებოდა. ევროკავშირთან ხანგრძლივი პარტნიორობა (მაგალითად, როგორც თურქეთის შემთხვევაში) გვაძლევს ამის მიღწევის საშუალებას. ევროპასთან პარტნიორობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთობის მანძილზე თურქეთმა თანდათანობით დაიწყო „გამოჯანმრთელება“. დემოკრატიის და პროევროპული საშუალო კლასის ფორმირების კუთხით ხელშესახები პროგრესია მიღწეული. ეს კი სწორედ იმ „მხარდაჭერისა და პოზიტიური ზეწოლის“ შედეგია, რომელსაც ევროპა თურქეთის მიმართ იყენებდა და იყენებს. 2013 წელს ოფიციალურმა ბრიუსელმა კრიტიკული შეფასება გააკეთა თურქეთში ადამიანის უფლებების სფეროში მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რაზედაც თურქეთის მთავრობამ 270-გვერდიან მოხსენებით უპასუხა, რომელშიც ევროკავშირის კრიტიკას „შეუწყნარებელი“ და „პოლიტიკურად მოტივირებული.“ უწოდა. როგორც ვხედავთ, მარტო საქართველო არ განიცდის „პოზიტიურ ზეწოლას.“ ამიტომაც ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი ჩვენი ქვეყნისათვის სტრატეგიული მოთმინებით აღჭურვა და პრობლემების ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსწორებაა, თუნდაც საზოგადოების ერთი ნაწილისათვის არაპოპულარული გადაწყვეტილებების ხარჯზე. საბჭოურ-კომუნისტური მეტასტაზებისგან განკურნება არ არის იოლი საქმე. ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ორიენტაციასა და ძირითად ფასეულობებზე პოლიტელიტებისა და საზოგადოების მდგრადი კონსენსუსი მიღწეული არ არის, ჯერ კიდევ არსებობს რუსეთისკენ მობრუნების რისკი, თუკი საზოგადოებაში გაჩნდება განცდა, რომ ევროპა „არაფერს ღირებულს არ გვთავაზობს“.

იქნებ სწორედ ეს საფრთხე გააცნობიერეს ევროკავშირში მას შემდეგ, რაც სომხეთმა პირი რუსეთისკენ იბრუნა, უკრაინამ დაამუხრუჭა, ხოლო ბელარუსი და აზერბაიჯანი უბრალოდ მზად არ აღმოჩნდნენ ასოცირებისათვის. შესაძლოა, მსგავსი პროცესების პრევენციის მიზნით, ევროკავშირმა საქართველოს ერთგვარი ავანსიც მისცა, როდესაც ტექსტის პარაფირებიდან ერთ წელზე ნაკლებ ვადაში 2014 წლის სექტემბრისთვის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა შესთავაზა. ამ ხნის მანძილზე და შემდეგაც საქართველოს „პოზიტიური ზეწოლის“ რეჟიმში ცხოვრება მოუწევს.

**ზაალ ანჯაფარიძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

№225. პარასკევი, 22 ნოემბერი, 2013 წელი.

# პერსპექტივა: საქართველო „სატრანსპორტო ჯვარზე“



**ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს ამიერკავკასიის რკინიგზა, რომლის ერთი მონაკვეთი იმდროინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადიოდა, რეგიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტი იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სწორედ ამ მაგისტრალზე სატვირთო გადაზიდვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთი მთავარი საბაბი გახდა, რამაც, ფაქტობრივად, სადღეისოდ არსებულ მდგომარეობამდე მოგვიყვანა. მომხდარის პოლიტიკური ასპექტების განხილვა-გაანალიზებას წინამდებარე პუბლიკაციაში არ ვაპირებთ, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ რკინიგზას, ბოლოდროინდელი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ცვლილებების პირობებში, საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე, სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური რიტორიკის გარკვეულწილად შერბილებისა და საქართველოდან ზოგიერთი სახეობის პროდუქციის რუსეთში ექსპორტირების პროცესის დაწყების გათვალისწინებით, ერევანი-თბილისი-სოხუმისა და შემდგომ რუსეთის ტერიტორიაზე რეგულარული სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თემა თანდათან სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება.**

სწორედ ეს გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის „ევრაზიული არჩევანი – საქართველოს“ ინიციატივით სასტუმრო „ამბასადორში“ მოწვეული კონფერენციის განხილვის საგანი, რომელშიც მრავალმა ადგილობრივმა, ასევე სომხეთიდან და რუსეთიდან ჩამოსულმა ექსპერტმა, პოლიტოლოგმა და ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მიმდინარეობას დინამიზმი შესძინა სოხუმიდან, მოსკოვიდან და ერევნიდან სატელევიზიო ჩართვებმა, რის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

კონფერენციაზე დისკუსიის მთავარი თემა, როგორც აღვნიშნეთ, თბილისსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პერსპექტივები, ეკონომიკური სარგებელი და ეროვნული ინტერესები იყო.

შესავალ სიტყვაში კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, არასამთავრობო ორგანიზაციის „ერეკლე II-ის საზოგადოების“ თავმჯდომარემ **არჩილ ჭყოიძემ** აღნიშნა, რომ ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მთელ სიგრძეზე მოძრაობის აღდგენა ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელსაყრელია არა მარტო ეკონომიკური მომგებიანობის თვალსაზრისით, არამედ საქართველო-აფხაზეთს შორის ურთიერთობათა დამყარების მხრივაც. თავისთავად ალტერნატიული სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ეკონომიკური პერსპექტივით დიდად დაინტერესებულები არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ცხადია, საქართველო, თუმცა კი, საკითხი მეტად რთულია, ამიტომ კონფერენციის მიზანია სხვადასხვა შემადგენლობით ფართო დისკუსიის დაწყება და ხელისუფლების დაინტერესება.

– მნიშვნელოვანია, რომ ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი ნაწილობრივ უკვე გაიხსნა, ხოლო რკინიგზით გადაზიდვა გაცილებით უფრო იაფია და, ამდენად, საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობს ხელს, – თქვა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარმა რედაქტორმა **ტატო ლასხიშვილმა**. – რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ ასპექტს, ეს ძალიან რთული თემაა და თუ გავიხსენებთ, სწორედ მაშინდელ ამიერკავკასიის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე განვითარებული მოვლენები გახდა საქართველოში 1992 წელს დაწყებული ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების საბაბი, რადგან აფხაზეთში ჯარის შეყვანის მიზეზი ტვირთების დაცვა იყო. მთავარია კითხვა, რომელზეც პასუხია გასაცემი: დღესდღეობით არიან კი მზად საამისოდ ამ რკინიგზის გასახსნელად დაინტერესებული როგორც კონფლიქტის მხარეები, ასევე ისინი, ვისაც ეს მნიშვნელოვნად ეხება, რათა ეს კიდევ ერთხელ არ გახდეს დაპირისპირების მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხი უნდა მივიღოთ არა მარტო საქართველოს მთავრობისგან, არამედ ყველა დაინტერესებული მხარისგან, რადგან უმნიშვნელოვანესია სწორედ რკინიგზის უსაფრთხოება. როგორც აღმოჩნდა, 1992 წელს რუსეთი ამ საკითხის უზრუნველსაყოფად მზად არ იყო, მაგრამ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ჩასართველად და საქართველოს დაშლის დასაწყებად სრულ მზადყოფნაში აღმოჩნდა. აღნიშნულის თაობაზე გარკვეული მოლაპარაკებების დაწყების სურვილი რუსეთის ხელისუფლების მხრივ ნამდვილად მისასალმებელია, თუმცა კი, ვიმორებ, მთავარი მაინც უსაფრთხოების საკითხია – რკინიგზა მხარეთა დაახლოების და არა ახალი დაპირისპირების საბაბი უნდა იყოს.

კონფერენციის მუშაობაში სოხუმიდან ჩართულმა პოლიტოლოგმა **ბესლან კობახიამ** აღნიშნა, რომ აფხაზეთზე გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ხალხი ძალიან დიდი სიფრთხილით უდგება, რის მიზეზი ოცი წლის წინანდელი მისი ომის დაწყების საბაბად გახდომაა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **აფხაზეთის დამოუკიდებლობა უკვე მსოფლიოს ექვსმა ქვეყანამ აღიარა, საქართველოსთან კი ამ მხრივ არანაირი ურთიერთობა არ არსებობს.** რაც შეეხება საკითხის ეკონომიკურ მხარეს, მართალია ამ მხრივ პროექტი მომგებიანია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით აფხაზეთისთვის არავის მიუმართავს, ხოლო თუ ასეთი მიმართვა იქნება, როგორც ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, ეს საკითხი საზოგადოების განსჯის საგანი გახდება.

თუმცა, ბატონ კობახიას ჩართვაში ყველაზე საგულისხმო იყო ის, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე ლაპარაკისას მან აღნიშნა, რომ ამის გარდა რატომღაც არავინ იხსენებს საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის თემას და რომ **საკითხი კომპლექსურად უნდა განიხილებოდეს, თანაც მხოლოდ მას შემდეგ, რაც აფხაზეთსა და საქართველოს შორის „ომი დამთავრდება“ (? – ავტ.).** დარბაზიდან კითხვაზე, თუ რას გულისხმობს იგი „ომის დამთავრებაში“, პოლიტოლოგმა უპასუხა, რომ ეს მან საკუთარ ექვსპუნქტიან გეგმაში ჩამოაყალიბა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მიერ აფხაზეთთან ომის დაგმობას, ამასთან დაკავშირებით ცნობილ დამნაშავე პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებასა და სამშვიდობო ხელშეკრულებას. ესაა და ეს!

– როცა გავიგე რუსეთის ჯარის საზღვარზე ჩაყენების ამბავი, არა აფხაზეთის, არამედ რუსეთის დაკარგვის შიშმა შემიპყრო, – თქვა ტელეკომპანია „მირის“ დირექტორმა **ბადრი ნაჭყებიამ**. – ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ **საქართველოს, ქართული ეთნოსის უწინარესი ამოცანაა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება.** – მეტიც: თუ ურთიერთობა მეგობრულ ხარისხში არ გადაიზრდება, ყველაფერი ძველებურად დარჩება, თუ რუსეთი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არ გახდებიან, თუ ორ ქვეყანას შორის საუკუნეთა მანძილზე არსებული სიდიადე არ გაჩნდება, არაფერი შეიცვლება. თქმა არ უნდა, სარკინიგზო მოძრაობა უნდა აღდგეს, ოღონდ გასათვალისწინებელია ყველაზე მნიშვნელოვანი – უსაფრთხოების საკითხი, რომლის გადაწყვეტა ცალ-ცალკე არც საქართველოს, არც აფხაზეთს არ შეუძლია, ამიტომ მისი გადაჭრა მესამე მხარემ, რუსეთმა უნდა იკისროს.

თავის მხრივ მთავრობის კანცელარიის ყოფილმა უფროსმა **პეტრე მამრაძემ** დამსწრეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სარკინიგზო მოძრაობის აღდგენის განხილვისას არც ერთი საკითხი ტაბუდადებული არ უნდა იყოს, რათა ხალხს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ჰქონდეს. მან რუსეთის მხარესთან წარსულში გაუხმაურებელი შეხვედრის შესახებაც ილაპარაკა, რა დროსაც აფხაზებისგან, მათ შორის ამჟამინდელი პრეზიდენტისგან ალექსანდრე ანქვაბისგან, მრავალი პოზიტიური იმპულსი მოდიოდა.

– საკითხისადმი საქართველოს უაღრესად აწონ-დაწონილი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, ამასთან აუცილებლად გასათვალისწინებელია ინტერესთა რთული ნაზავი, რომელიც მისდამი რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს გააჩნია, – თქვა ბატონმა მამრაძემ. – საქმე ისაა, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისადმი მიდგომა ყველა ქვეყანაში განსაკუთრებულია. კერძოდ, მას დიდი სიფრთხილით უდგებიან სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც, ამიტომ თემის განხილვა თავდაპირველად მაღალი პოლიტიკურ ეშელონებში საკონსულტაციო შეხვედრებით უნდა დაიწყოს.

მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ **სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების სისტემა 2008 წელს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილის ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებების შემდგომ დაინგრა,** რომლებსაც სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. ამდენად, მისი აზრით, საქართველოს მთავრობამ ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, რომლებიც ასევე მისი მეზობლებისთვისაც სარგებლობის მომტანი იქნება.

**– უნდა გვახსოვდეს ჩვენი ადგილი კავკასიაშიც და მსოფლიოშიც. სახელმწიფოები, რომლებიც თავის მდგომარეობას არ ათვითცნობიერებენ, აღიგვებიან პირისაგან მიწისა,** – დასძინა მან.

კონფერენციის მუშაობაში მოსკოვიდან ჩართულმა საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა **ვალერი ხაბურძანიამ** აღნიშნა, რომ სარკინიგზო მოძრაობის აღდგენის მომხრე ყველა რეალურად მოაზროვნე ადამიანი უნდა იყოს, რადგან ეს ყველა მხარისთვის მომგებიანია და ამისთვის პოლიტიკური სარჩულის დადება საჭირო არ არის.

– გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ **საქართველო დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულების დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთია და თუ მას ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაც დაემატება, ეს „სატრანსპორტო ჯვარი“ აფხაზეთთან პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას შეუწყობს ხელს,** – განაცხადა მან. – საჭიროა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა არსის სამეგრელოს, კერძოდ, ზუგდიდის მოსახლეობისთვის ახსნა, ყველა ხალხმა კი პრობლემის გადაჭრა საკუთარ მთავრობებს უნდა მოსთხოვოს.

ერევნიდან ჩართულმა პოლიტოლოგმა **არიკ გალუსტიანმა** თავის მხრივ განაცხადა, რომ საკითხი მეტად აქტუალურია როგორც კავკასიაში, ასევე მთელ მსოფლიოში, თუმცა კი, **საქართველოსა და აფხაზეთს შორის არსებულ ურთიერთობათა გათვალისწინებით, მისი დადებითად გადაწყვეტა ერთგვარად უტოპიურია.**

**– საქმე ისაა, რომ აფხაზეთს არ შეუძლია ჭეშმარიტად დამოუკიდებელი იყოს. საქართველო კი ამტკიცებს, რომ აფხაზეთი მისი ტერიტორიაა, თანაც მას აწყობს არსებული ვითარება, კერძოდ, რუსეთთან საბაჟო-გამტარი პუნქტის მხოლოდ ლარსში არსებობა, რადგან ამით სომხეთში ზეწოლას ახორციელებს და რუსეთსაც ამ პოზიციიდან ელაპარაკება. ეს საკითხი ახალი არ არის, ისევე როგორც ის, რომ საქართველოსთვის ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების გაწევის ერთ-ერთი პირობაა 10 პროცენტის სამცხე-ჯავახეთის მხარეში მიმართვა, სადაც მეტწილად სომხური მოსახლეობა ცხოვრობს.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ რკინიგზაზე მოძრაობის აღდგენის შემთხვევაში საქართველოს მთავრობას ამაზე საკუთარი მოსახლეობისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს. ამასთან, საქართველო გარკვეულწილად აზერბაიჯანსა და თურქეთზეა დამოკიდებული, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში კი სომხეთს ბლოკადა საგრძნობლად შეუმსუბუქდება. თუკი თბილისი და მოსკოვი მაღალ დონეზე მოლაპარაკებას მოახერხებენ, თემაზე საუბარი შეიძლება გაგრძელდეს კიდეც.

გაზეთ „ვრასტანის“ მთავარი რედაქტორის **ვან ბაიბურთის** აზრით კი, როცა ლაპარაკია სარკინიგზო მოძრაობის განახლებაზე, თავდაპირველად შესაძლებელია თუნდაც ზუგდიდი-გალის მონაკვეთზე სამგზავრო მიმოსვლის აღდგენა, რადგან საზღვრის სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილ მოსახლეობაში ნათესაური კავშირებია. საკითხის პოზიტიურად გადასაწყვეტად ასევე საჭიროა ერის ფსიქოლოგიის ცოდნა, საკუთარი თავისადმი მისი პატივისცემის გათვალისწინება, რუსეთის იმპერიისდროინდელი დირექტივებით საქართველოსთან ურთიეთრობის დრო კი წარსულს ჩაბარდა.

– ზოგადად ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ყველა გზა გახსნილი უნდა იყოს, საქართველოში ყველას კარგად ესმის, რომ რუსეთთან კეთილი ურთიერთობების დალაგების გარეშე ეს ვერანაირად ვერ განხორციელდება, რასაც სავსებით გარკვევით აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, – თქვა მან.

– სატრანზიტო ინტეგრაციის ერთ-ერთი საკვანძო მომენტი ისაა, რომ საკითხის გადაწყვეტაში ზოგიერთი ქვეყანა ამ მხრივ წინაა, ზოგიც ჩამორჩება, – განაცხადა თავის ჩართვაში მოსკოვიდან პოლიტოლოგმა **სიმონ ურალოვმა**. – საკითხის პოზიტიური გადაჭრის მაგალითია დნესტრისპირეთი, რომლის გავლით მოლდოვასა და უკრაინას შორის სარკინიგზო მომოსვლაა, ყირგიზეთისთვის ამ ფუნქციას ყაზახეთი ასრულებს, **სომხეთისთვის კი ეს ფუნქცია საქართველომ უნდა შეასრულოს.** თუკი ეს ორი ქვეყანა რუსეთის რკინიგზაში ინტეგრირებას შეძლებს, ეს ყველასთვის მისაბაძი მაგალითი იქნება.

ექსკლუზიურ ინტერვიუში არაკომერციული ორგანიზაციის, ანალიტიკური ბიუროს Alte et Certe-ს წარმომადგენელმა **ანდრეი ეპიფანცევმა** აღნიშნა, რომ ტრანსკავკსიურ რკინიგზაზე მოძრაობის აღდგენა, სომხეთიდან საქართველოსა და აფხაზეთის გავლით რუსეთამდე, რა თქმა უნდა, საჭიროა. ეს, უწინარესად, საქართველოს ინტერესებშია, რადგან რუსეთში მისი პროდუქციის ექსპორტის ხარჯს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

– ტრანსკავკასიური რკინიგზა ყოველთვის იყო, ასე ვთქვათ, „სიცოცხლის გზა“ და ჩვენ ვხედავთ, რომ მის გასწვრივ ოლქებს საკუთარი პროდუქციის გასაღების მეტი შესაძლებლობა აქვთ, იგი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილებს ქმნის და ა. შ. – თქვა რუსეთელმა პოლიტოლოგმა. – ეკონომიკაში, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული არც თუ სახარბიელო მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს უაღრესად სარგებლიანი იქნებოდა. თუმცა კი, რა თქმა უნდა, არის მეორე მხარეც – ესაა აფხაზეთთან ურთიერთობები, რომელთა დაწყება საკმაოდ რთულია. **დღესდღეობით საქართველო აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით დახმარების გზებს ეძებს, თუმცა კი, ყველანი ვხედავთ, რომ მარტო ჰუმანიტარული პროექტების განხორციელებით ამის გაკეთება რთულია.** საქმე ისაა, რომ აფხაზები დიდი უნდობლობით უცქერენ ქართველებს და თუ მათ აღნიშნულ პროექტს შევთავაზებთ, მის წინააღმდეგ ხელისუფლების ოპოზიცია გაილაშქრებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავის შემადგენლობით აფხაზური ოპოზიცია ერთიანად დადებითი არ არის, მისი დაყოლიება მაინც შესაძლებელია. ამდენად, ვიდრე ეს პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძვრება, საჭიროა აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობათა ბილიკების გაკვალვა. **არადა, ბოლო დროს ვხედავთ, რომ საქართველო ინიციატივებს აგვიანებს, ეს ტრადიციული ქართული გართობაა (!! - ავტ.) – ჯერ რაღაცის არმიცემა, შემდეგ კი როცა აფხაზები და ოსები აჩვნებენ, რომ უამისოდაც შეუძლიათ ყოფნა, ამის თავისით შეთავაზების დაწყება.** ახლა ურთიერთობათა დალაგების კიდევ ერთი შესაძლებლობა რკინიგზაა, რომელიც ეკონომიკური კონტაქტების დამყარების კარგი საშუალებაა. ამდენად მიმაჩნია, რომ ნამდვილად არ იქნება გონივრული, თუკი საქართველო იმავე თამაშს განაგრძობს, რომელსაც შევარდნაძე და გამსახურდია თამაშობდნენ. ამ დროს საჭიროა პოლიტიკურ საკითხთა გვერდზე გადადება და ეკონომიკურ სარგებელზე ყურადღების გამახვილება. გაიხსენეთ: როცა საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური კავშირების განახლების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო, თქვა – მოდით პოლიტიკური ასპექტები გვერდზე გადავდოთ და ეკონომიკური კონტაქტებით დავიწყოთ და, ხომ ხედავთ, გამოვიდა კიდეც. ამიტომ, მოდით, აფხაზებსაც იგივე შევთავაზეთ და, დარმწუნებული ვარ, ამაზე წამოვლენ. **მსოფლიო გამოცდილება ის არის რომ, მოუწესრიგებელი პოლიტიკური ურთიერთობების არსებობის დროსაც კი ეკონომიკური და სატრანსპორტო ურთიერთობები არ წყდება.** ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კვიპროსის, ან ღაზას სექტორში მდგომარეობის მაგალითების მოყვანა. მაშ, რატომ არ შეიძლება ამ შემთხვევაშიც იმავე გზის არჩევა? მიმაჩნია, რომ ამ მხრივ საქართველოს კარგი შანსი ეძლევა და საჭიროა მისი გამოყენება.

**ოთარ ტურაბელიძე**

## სიმართლე კი ასეთია

# „ჩაკეტილი“ ყაზახეთი

**ტელეკომპანია „იმედზე“ გამართული დებატების ფარგლებში „ნაციონალური“ რეჟიმის ერთ-ერთმა მთავარმა ადეპტმა კახა ბენდუქიძემ ჩემ მიერ ყაზახეთის წარმატებულ სახელმწიფოდ ხსენების საპასუხოდ განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო საქართველოზე უარეს მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან იგი გეოგრაფიულად „ჩაკეტილია“ და მას ევროპასთან გასასვლელი, საქართველოსგან განსხვავებით, არა აქვს. რა თქმა უნდა, ბენდუქიძის არგუმენტი ნებისმიერ შემთხვევაში ელემენტარული ფაქტების საშუალებით ქარწყლდება, მაგრამ გადავწყვიტე, ორიოდე სიტყვით დამეწერა ყაზახეთის შესახებ, სადაც ამ რამდენიმე დღის წინათ მომიწია მცირე ხნით ყოფნა.**

კერძოდ, ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მიწვევით, ასტანაში დავესწარი რიგით მე-6 სამოქალაქო ფორუმს, რომელზეც რეგულარულად იკრიბებიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები მთელი ყაზახეთიდან, ასევე შუა აზიის რეგიონიდან (ამ კონკრეტულ ფორუმს ხუთასზე მეტი დელეგატი ესწრებოდა). მართალი გითხრათ, თავიდან ვერ ვივარაუდე, რომ ფრიად საინტერესო ღონისძიებაზე მომიწევდა დასწრება — როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული კლიშეები პროფესიონალ პოლიტოლოგზეც მოქმედებს, რომელთა შესაბამისად, „ჩაკეტილ“ ყაზახეთში, აზიის კონტინენტზე, სადაც დასავლეთის გავლენა შედარებით ნაკლებად იგრძნობა, არასამთავრობო სექტორი სუსტი და განუვითარებელი უნდა იყოს.

ყაზახეთში 20 ათასამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციაა რეგისტრირებული, რომელთაგან ბევრი, მართალია, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, მაგრამ წამყვანი ორგანიზაციების რაოდენობაც, და რაც მთავარია, ხარისხი — შთამბეჭდავია. ასტანაში, ფორუმზე, ასეთი ორგანიზაციების მუშაობის კონკრეტული შედეგებისა და მიღწევების გამოფენა მოეწყო. არასამთავრობო ორგანიზაციები ამ გზით საზოგადოებას ყოველ წელს ანგარიშს აბარებენ. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ ყოველწლიურ ფორუმებს ყაზახეთის მთავრობის წევრები ესწრებიან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებს საშუალება აქვთ, უშუალო კონტაქტი იქონიონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისი დარგის ხელმძღვანელებთან, აზრი გაცვალონ მათთან და სამუშაო რეჟიმში თავიანთი წინადადებები მიაწოდონ მთავრობას.



ყოველივე ეს ფორმალობის გამო, საჩვენებლად, არ ხდება. არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის ყაზახური გამოცდილება სახელმწიფოსთან ჰარმონიულ თანამშრომლობას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, სულაც არ ნიშნავს, რომ არასამთავრობო სექტორი მთავრობის მიმართ არაკრიტიკულია. პირიქით, კრიტიკა არის და ეს კრიტიკა საერთო-საქვეყნო საქმის წარმატების ინტერესიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო თავად არის დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან ოპონირებაში, რათა უკეთ დაინახოს არსებული პრობლემები, სწორედ ამიტომ სახელმწიფო პირდაპირ უწყობს ხელს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ე. წ. სოციალური შეკვეთების განაწილების სახით. არსებობს უამრავი თემა, რომელზეც მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურები არ მუშაობენ და ამ სამუშაოების წარმოება საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით ხდება. ყაზახეთის მთავრობა უხვად გამოყოფს ფინანსურ სახსრებს, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის პროექტების განსახორციელებლად.

ყაზახეთის კანონმდებლობით არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსებაც სავსებით მისაღებია, ამ უფლებას საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია იყენებს კიდეც. ქვეყანაში თავისუფლად საქმიანობდნენ ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მოწოდებული ისეთი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ფილიალები, როგორებიც არიან „ემნისტი ინტერნეიშენელი“ და „ჰუმან რაითს უოტჩი“. მათ არანაირი პრობლემა არ ექმნებათ. უფრო მეტიც, ყაზახეთში ისეთი საეჭვო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციაც არ იზღუდება, როგორიც ამერიკული „ფრიდომ ჰაუსია“ (იგი შემჩნეულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ე. წ. ფერადი რევოლუციების პირდაპირ მხარდაჭერაში). მაგრამ, ამასთან, სახელმწიფო გარკვეულ ზღვარსაც უდებს უცხოური დაფინანსებით განსახორციელებელ პროექტებს.

მთავრობა უფლებამოსილია, მიიღოს ან უარი თქვას ამა თუ იმ პროექტის უცხოურ დაფინანსებაზე. **სამაგიეროდ, მთავრობა თავად გამოყოფს საჭირო თანხებს და თავიდან იცილებს უცხოეთის მხრიდან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის საფრთხეს.** მე თავად დამიწერია ქართულ პრესაში იმის შესახებ, რომ **არ შეიძლება, სუვერენულ სახელმწიფოში ისეთი დიდი წილი ჰქონდეთ უცხოეთიდან ფინანსურად მხარდაჭერილ ორგანიზაციებს, როგორც ეს საქართველოში ხდება. ამით საზოგადოებრივი სექტორი კი არ ვითარდება, არამედ პირიქით, უცხოეთის ინტერესებს ექვემდებარება, ქართველი საზოგადოების ინტერესი კი, ხშირ შემთხვევაში, უგულებელყოფილია.**

ალბათ, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც გადაწყვიტა, საქართველოს სასიკეთო მოღვაწეობა საზოგადოებრივი ასპარეზიდან განაგრძოს, ამ უდიდეს დეფიციტს ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრის, მაგრამ ყაზახეთის გამოცდილება, სავარაუდოდ, ქართული სახელმწიფოსთვის აუცილებლად ყურადსაღები უნდა იყოს, თუკი გვსურს, რომ საქართველო ოდესმე გამოვიდეს ძნელად აღსაზრდელთა სკოლის კლასში ჩარჩენილი მოსწავლის მდგომარეობიდან, რომელზეც მზრუნველობას იჩენენ უცხოელი „ბიძიები“ და „დეიდები“.

ჩემი სუბიექტური შთაბეჭდილებაა, მაგრამ როდესაც ასტანაში გამართული სამოქალაქო ფორუმის მონაწილეთა გამოსვლებს ვუსმენდი და საკუთრივ გამომსვლელებს ვაკვირდებოდი, თვალშისაცემი იყო გამომსვლელთა საქმიანი ტონი და გამოსვლების შინაარსიანობა. გამახსენდა უცხოური გრანტებით დაფინანსებული ქართველი „ენჯეოშნიკების“ დაზეთილი სახეები და მონოტონური ლუღლუღი, რისი ცქერა, მოსმენა და წაკითხვა ქართველ საზოგადოებას მოსჯილი აქვს მასმედიის მიერ — **კონტრასტი მართლაც დიდია. ყაზახური არასამთავრობო სექტორი, განსხვავებით ქართულისგან, მართლაც რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებულია, მოწოდებული საზოგადოების სამსახურისთვის. მათი მოღვაწეობა რეალურ შედეგზეა ორიენტირებული და არა დილა-საღამოს სატელევიზიო კომენტარებზე.** ყოველ შემთხვევაში, იმ დოზით, რომლითაც მე მქონდა ყაზახური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხება, მათზე მხოლოდ საქმიანი ხალხის შთაბეჭდილება დამრჩა (ერთი-ორი მაამებელი ყველგან და ყოველთვის გამოერევა ხოლმე), რასაც ვერ ვიტყვი მათს ქართველ კოლეგებზე (რა თქმა უნდა, ცალკეული გამონაკლისების გათვალისწინებით).

ყაზახეთის სახელმწიფო არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების განსახორციელებლად წელიწადში დაახლოებით 2 მილიარდ ტენგეს (ანუ 13 მილიონ აშშ დოლარზე მეტს) გამოყოფს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების 80 პროცენტამდე რესპუბლიკური მასშტაბით მოღვაწეობს, ხოლო რეგიონული გაერთიანებების წილი საკმაოდ მოკრძალებულია, ამ მხრივ სახელმწიფო აპირებს დამატებითი მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარებას, რათა ადამიანებმა პროვინციებშიც მეტი ინიციატივა გამოიჩინონ და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის პირობები შეექმნათ. დღესდღეობით ყაზახეთში განსაკუთრებით გამოირჩევიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდობის, ინვალიდებისა და გენდერულ პრობლემებზე მუშაობენ. ასტანის მე-6 სამოქალაქო ფორუმზე დაისვა საკითხი, რომ სახელმწიფომ ნება დართოს მოქალაქეებს, მათი სურვილის შემთხვევაში, თავიანთი საშემოსავლო გადასახადის ნაწილი გადაურიცხონ კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ამგვარად ზრუნავს ყაზახეთის სახელმწიფო საზოგადოებაზე, საზოგადოებრივ აქტიურობაზე. სახელმწიფო პოლიტიკა ეფექტურია ყველა ძირითადი მიმართულებით. ფორუმზე მინისტრებთან გამართული შეხვედრების ფარგლებში (საერთო კრების შემდეგ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენლები სხვადასხვა სექციებში გადანაწილდნენ, მათთვის საინტერესო პროფილის მინისტრებთან შესახვედრად - მე საგარეო საქმეთა მინისტრის სექცია ავირჩიე) გერმანიის განვითარების და ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენელმა ერთგვარი საყვედური გამოთქვა მთავრობის მიმართ, თითქოს ყაზახეთის მთავრობა არასაკმარისად იყენებს დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ დახმარებას და გაუგებარი მიზეზით ამბობს ამ დახმარებაზე უარს.

**დიდი გამოცდილების მქონე, ლონდონსა და ვაშინგტონში ელჩად ნამუშევარმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა იდრისოვმა არგუმენტირებულად აუხსნა გერმანელ სტუმარს, რომ უმეტეს შემთხვევაში დასავლეთიდან მომავალი ე. წ. დახმარება დეკლარირებულ მიზანს ვერ აღწევს და არაეფექტურია. ასე მაგალითად, გამოყოფილ გრანტებში ხარჯები იმგვარად არის ხოლმე გაწერილი, რომ მათი უდიდესი ნაწილი უცხოეთიდან ჩამოსულ პერსონალს ხმარდება ხელფასებისა და პრემიების სახით, საკუთრივ საქმეზე კი მინიმალური თანხა იხარჯება. ასეთ „დახმარებას“ გვირჩევნია, საკუთარი ძალებით განვახორციელოთ შედეგის მომტანი პროექტებიო** - იყო მინისტრის არგუმენტი, რაზეც გერმანელმა სტუმარმა კონტრარგუმენტი ვერ მოიყვანა და იძულებული იყო, ეს პასუხი გაეზიარებინა. **მე, პირადად, თბილისში ვარ მომსწრე, ამავე გერმანული ორგანიზაციის (მაშინ „გე-ტე-ცეტ“-ის აბრევიატურით მოქმედი სააგენტო) არაეფექტური მუშაობისა,** როდესაც მის კომპეტენციაში არსებულ ელემენტარულ საკითხთან დაკავშირებით ვერ მივიღე პასუხი და ერთი ტელეფონის ნომრიდან მეორეზე გადამამისამართეს, მეორიდან მესამეზე და ასე შემდეგ, სანამ ბერლინამდე არ „მივედი“.

დაბოლოს, აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ყაზახეთის ლიდერის, პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის უდიდესი ღვაწლი თანამედროვე „ჩაკეტილი“ ყაზახეთის წარმატებაში. დარწმუნებული ვარ, ნურსულთან ნაზარბაევი ისტორიაში მსოფლიო მასშტაბის დიდ პოლიტიკოსად შევა — არა მხოლოდ ყაზახეთის, არამედ მსოფლიო ისტორიაში. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, როგორც სპეციალისტი ვამბობ და საკუთარ ნათქვამზე პასუხს ვაგებ. ურთულესი საქმე იყო უზარმაზარ სტეპებზე გაშლილი საზღვრების შენარჩუნება და საყოველთაო თანხმობის დაცვა ეთნიკურად და რელიგიურად მეტად ჭრელ ქვეყანაში, რომელსაც საფრთხის შემცველი შუა აზიის რეგიონი ესაზღვრება. გეოგრაფიულად შეიძლება „ჩაკეტილი“, რუსეთს, ჩინეთსა და ისლამურ სამყაროს შორის მოქცეული, მაგრამ ურყევი სამშვიდობო კურსის მქონე ყაზახური სახელმწიფო, ყველა დიდი საინტეგრაციო პროექტის ავტორი თუ არა, აქტიური მხარდამჭერი პრეზიდენტი ნაზარბაევის მეთაურობით, სტაბილურად ვითარდება და მომავალს მშვიდად უყურებს. შუაგულ სტეპში აღიმართა ფაქტობრივად სრულიად ახალი ქალაქი — დედაქალაქი ასტანა, ფართო პროსპექტებით, ლამაზი სასახლეებითა და ბაღებით დამშვენებული. ძველი დედაქალაქი — ალმატი, ასევე ინარჩუნებს თავის ხიბლს და აზიური და ევროპული ქალაქის სინთეზს განასახიერებს. ქალაქებში თითქმის იდეალური სისუფთავეა, წესრიგი და სიმშვიდე. არავინ ყვირის, არ ჩხუბობს, არ მათხოვრობს, არ „ხამობს“...

აი, „ჩაკეტილი“ ყაზახეთის ხვედრი, რომელმაც თავისი საგარეო პოლიტიკა სტრატეგიულად რუსეთთან თანამშრომლობას დაუკავშირა და ევრაზიული ინტეგრაციის ფლაგმანად გვევლინება. ევროპისკენ მაცქერალმა სნობიზმით დაავადებულმა ქართველი საზოგადოების ნაწილმა ჯერ კისერი აღმოსავლეთით მოაბრუნოს, თვალი გაახილოს და კარგად დააკვირდეს „ჩაკეტილ“ ყაზახეთს. იქნებ აღმოაჩინოს ამ საზოგადოებამ, რომ ჯერ ყაზახეთის დონემდეა დიდი გზა გასავლელი, არათუ ევროპამდე. თუმცა, ვეჭვობ, რომ ყველაფერს ყაზახეთის ბუნებრივ სიმდიდრეებს „დააბრალებენ“. რა თქმა უნდა, ყაზახეთის პროგრესში ნავთობს, გაზს, ფერად მეტალებს თავისი როლი აქვს შესრულებული, მაგრამ სხვა პოლიტიკური კურსის პირობებში ბუნებრივი სიმდიდრეები თავის ტკივილად უფრო ექცეოდა ყაზახეთს, ვიდრე აყვავების საწინდრად.

**გასული საუკუნის ლათინური ამერიკის ისტორია გვასწავლის, რომ ბუნებრივი წიაღისეულის — ნავთობის, ოქროს ფლობა თავისთავად არ მოასწავებს ბედნიერი სახელმწიფოს აშენებას, პირიქით, იგი შეიძლება სახელმწიფოს გაბანკროტების და კოლონიად გადაქცევის მიზეზად იქცეს. ჩვენ, ქართველებმა, რაც გვაქვს - ღვინო, მინერალური წყალი, ციტრუსი თუ სხვა, ის ვერ გამოვიყენეთ, საკუთარი თავი გამოვაძევეთ რუსეთის ბაზრიდან და ვეჭვობ, ჩვენ რომ ნავთობი და ბუნებრივი აირი გვქონოდა, იმასაც ასეთივე „წარმატებით“ გამოვიყენებდით.**

ყოველივე ამის გამო ყაზახეთის მაგალითი ჩვენთვის დაფიქრების საფუძველი უნდა გახდეს.

**გულბაათ რცხილაძე,**
პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

## დედამიწის ზურგზე



**რათა გაეხანგრძლივებინათ კიმ ირ სენის სიცოცხლე, ექიმები იყენებდნენ პატარა ბავშვებსა და ახალგაზრდა მამაკაცების სისხლს**

დიქტატორ კიმ ირ სენის ყოფილი მკურნალი ექიმი კიმსო ენი, რომელიც რამდენიმე წელია ქვეყნიდან გაქცეულია, ახლახან გამოცემულ წიგნში აღწერს, თუ როგორ ეძებდა ჩრდილოეთკორეელი ლიდერისთვის „უკვდავების წამალს“. დიქტატორი აიძულებდა თავის პირად ექიმებს, ყოველგვარი საშუალებით გაეხანგრძლივებინათ მისთვის სიცოცხლე.

* * *

**ჩინეთში ბავშვი კრემაციის წინ „მკვდრეთით აღსდგა“**



ბავშვს დაუსვეს დიაგნოზი — სასუნთქი ორგანოების თანდაყოლილი მანკი. დაბადებისთანავე იგი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მშობლებმა ექიმთა რეკომენდაციით გადაწყვიტეს, ბიჭუნასთვის შეეჩერებინათ მკურნალობის კურსი. მათ სულ მალე აუწყეს ბავშვის გარდაცვალების შესახებ. და მოხდა სასწაული, კრემაციის წინ გარდაცვლილი ბიჭუნა... გაცოცხლდა და ატირდა. სამწუხაროდ, სააგენტო არ იუწყება, გამოჯანმრთელდა თუ არა იგი.

* * *

**ბოლივიაში სამხედრო ლიცეუმის ორი კურსანტი თავისი მეთაურის ყველგანმავალის გადარჩენას შეეწირა**



თავიანთი მეთაურის ჯიპის გადასარჩენად ორი კურსანტი დაუფიქრებლად გადაეშვა მდინარეში. რამდენიმე ცდის შემდეგ მათ შეძლეს ყველგანმავალი ბაგირების საშუალებით გადაერჩინათ, მაგრამ, საუბედუროდ, თავად მოხვდნენ მორევში და მათი გადარჩენა შეუძლებელი გახდა. მამაცი კურსანტების დაღუპვა თვითმხილველებმა ვიდეოკამერით შეძლეს გადაეღოთ.

* * *

**ათობით ერაყელი ტერორისტი შეერთებულ შტატებში დევნილების სტატუსით დამკვიდრდნენ**

ჟურნალისტთა აღშფოთება გამოიწვია „ალ-ქაიდას“ ორი წევრის დაკავების ისტორიამ, რომელთა საქმესაც დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ანონიმი წყაროები უშიშროების სამსახურებს არწმუნებენ, რომ ამგვარი გამოვლინებები კვლავ შესაძლებელია, რადგან ისლამური ქვეყნებიდან შეერთებულ შტატებში ათობით ტერორისტი შედის დევნილთა სტატუსით. დღესდღეობით ქვეყანაში 70 ათასამდე ერაყელი დევნილია (იქნებ ჩვენს მთავრობასაც გადაეხედა ქვეყანაში ათასობით უცხოელის ყოველგვარი შემოწმების გარეშე შემოდინების ფაქტებზე — „სრ“ რედაქცია).



თავგასულობა



# როცა არც კულტურული ძეგლისა და არც ნაკრძალის სტატუსს არაფრად დაგიდევენ!

## დადიანების ეზოს ნაციონალების მაჟორიტარი ლევან ქარდავა დაეპატრონა

**ზუგდიდის დადიანების სასახლის ეზოს ნაწილი, წალენჯიხიდან ნაციონალების მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან ქარდავამ შეიძინა. დადიანების მუზეუმის დირექტორს ლილი ბერაიას არ აქვს ინფორმაცია, ვინ და როგორ შეიძინა სასახლის ეზოს მიწის ნაწილი. იგი ეჭვობს, რომ ყველაფერი მის ზურგს უკან, მალულად მოხდა.**

საჯარო რეესტრის ინფორმაციით, კერძო პირმა ლევან ქარდავამ მიწის ნაკვეთი მიმდინარე წლის 4 აპრილს დაარეგისტრირა. საუბარია 995 კვადრატულ მეტრ ფართზე, რომელიც აღნიშნული ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოშია მოქცეული.

ლილი ბერაია აცხადებს, რომ თავის დროზე, თანამდებობაზე დანიშვნისას კულტურის სამინისტროში მას უთხრეს, რომ უზურფრუქტით ეს მიწის ნაკვეთი დაემტკიცებინა. მანაც შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვება დაიწყო, მაგრამ ბოლომდე მათი თავმოყრა ვერ მოახერხა. დღეს კი ლილი ბერაიას არ სურს, ვინმემ დასწამოს, თითქოს, მუზეუმის დირექტორობის დროს ეს ტერიტორიები პირადად ლილი ბერაიამ გაასხვისა.

**„ლევან ქარდავას შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ მივიღე, რაც ეზოს დაკანონებას ვცდილობდი და მასზე უარი მითხრეს. ადგილობრივ რეესტრს მივწერე და პასუხად მივიღე, თქვენ არაფერი გეკუთვნითო. მაშინ ძალიან ცუდად გავხდი და ისევ დავიწყე საბუთების მოგროვება. მერე გავიგე, რომ თურმე ჩვენი არაფერი ყოფილა. ყველაფერს სხვადასხვა კოდები ჰქონია და რუკაზე სასახლეებიც არ ჩანს“,** — ამბობს მუზეუმის დირექტორი და მზადაა, სასახლეების კუთვნილი მიწის ნაკვეთის დაბრუნებისთვის იბრძოლოს.

პრობლემას ისიც ართულებს, რომ აღნიშნული ტერიტორია ნაკრძალია. ამდენად, მისი გასხვისება დაუშვებელი იყო.

**ეკონომიკის სამინისტროში არ ადასტურებენ, რომ მათ მუზეუმის კუთვნილი მიწის ნაკვეთი კერძო პირს გადასცეს. მათი თქმით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების დაქვემდებარებაში მყოფი სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრიც ისევე ახორციელებს სახელმწიფო ქონების განკარგვას, როგორც ეკონომიკის სამინისტრო. ოღონდ მათი კომპეტენცია რეგიონებზე ვრცელდება. ამდენად, შესაძლოა, სწორედ ამ ცენტრს გაესხვისებინა აღნიშნული მიწის ნაკვეთი.**

**დადიანისეული სასახლის ეზოს გასხვისებას, ასევე, აპროტესტებს პრინცესა მიურატი — ვერონიკა დე შაბო ტრამკური. ამასთან დაკავშირებით იგი მთავრობისთვის სპეციალური მიმართვის გაგზავნას გეგმავს. მისი აზრით, მუზეუმის ტერიტორია მუზეუმს უნდა დარჩეს და არ უნდა გასხვისდეს.**

„დაიცავი საქართველოს“ დამფუძნებელი კახა მიქაია For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ დადიანისეული ეზოს ნაწილი ზაზა გოროზიამ მალულად მიჰყიდა წალენჯიხის მაჟორიტარს ლევან ქარდავას. მისი თქმით, მუზეუმის ადმინისტრაცია ამ უკანონობას სასამართლოში გაასაჩივრებს და პროკურატურასაც მიმართავს, რადგან ნაციონალების მიერ გაყიდული კულტურული მემკვიდრეობის კერა უნდა დაუბრუნდეს დადიანების მუზეუმს და სახელმწიფოს.

**„მიხეილ სააკაშვილს და გოროზიებს დადიანების სასახლეებიც რომ გაეყიდათ, არ გამიკვირდებოდა. ალბათ, გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილი ნიკო დადიანის სასახლის მთავარი დარბაზიდან როგორ მიმართავდა მთელ საქართველოს. ეტყობა, თავი დადიანად წარმოედგინა. ამიტომ ჩემთვის გასაკვირი არ არის, რომ გოროზიამ გაყიდა ეს ტერიტორია. ვიმედოვნებ, დღევანდელი ხელისუფლება, მუზეუმის ადმინისტრაცია და მთელი ზუგდიდის მოსახლეობა არ დაიშურებს ძალისხმევას, რომ დადიანების ეზო ისევ დაიბრუნონ. დადიანების ეზო ეკუთვნით დადიანებს და არა — გოროზიებს, ქარდავებს და მათნაირებს,“** — აცხადებს კახა მიქაია.

რაც შეეხება ბიზნესმენ ლევან ქარდავას, კახა მიქაია მას სააკაშვილის ბიზნესმენად მოიხსენიებს. მისი ინფორმაციით, ქარდავა რუსეთიდან ჩამოვიდა და 2007 წელს გოროზიამ აყიდინა ეს ტერიტორია. მიქაიას თქმით, ეს ის ქარდავაა, რომელიც ბათუმის არხის „TV- 25“-ის მფლობელიც იყო.

თუმცა, „დაიცავი საქართველოს“ დამფუძნებელი არ გამორიცხავს, რომ დადიანისეული სასახლის ეზოს ნაწილი არა მარტო ქარდავას კუთვნილებაა, არამედ — ამავე ტერიტორიის არაერთი სხვა ნაწილიც გაყიდულია. ამ ეტაპზე ცნობილი არაა, მათი დღევანდელი მფლობელების ვინაობა.

ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარია მომხდართან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს. თუმცა, გვიცხადებს, რომ, თუ დადიანისეული ეზოს ნაწილი მართლაც გაიყიდა, ეს დაუშვებელია. მისი თქმით, არ შეიძლებოდა ისტორიული ტერიტორიების გაყიდვა და ეს უნდა ყოფილიყო ხელუხლებელი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. ამდენად, ეს საკითხი მაშინდელ კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს თანაბრად ეხებოდა.

არქიტექტორი ცირა ელისაშვილი არ გამორიცხავს, რომ თავის დროზე ეს იყო დახურული ინფორმაცია, რომლის შესახებაც საზოგადოებას არ ჰქონდა არანაირი წვდომა. მისი თქმით, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შენობას, რომელსაც აქვს ძეგლის სტატუსი და მის ტერიტორიას, რომელსაც, ასევე, იცავს კანონი ძეგლის დამცავი ზონის შესახებ, რაიმე დაემუქრებოდა. ამ შემთხვევაში, დადიანების სასახლის ეზო ცალკე სტატუსის მქონეა და მას იცავს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ამდენად, როგორ გადავიდა ეს კონკრეტული მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებაში, მისთვის უცნობია.

**„როგორც კულტურის სამინისტრო აცხადებს, ამის შესახებ მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ, ასევე, არაფერი იცოდა თავად მუზეუმის ადმინისტრაციამაც, ამიტომ ეს კორუფციული გარიგების სქემა უნდა ყოფილიყო. ნებისმიერ ძეგლს აქვს თავისი სააღრიცხვო ბარათი და დამცავი ზონის საზღვრებიც რუკაზე უნდა იყოს დატანილი. თუ ეს გაკეთებული იყო და ახლა ეს ინფორმაცია აღარ იძებნება, აქ უნდა ჩაერთოს გამოძიება და გაარკვიოს, რატომ აღარ არის ძეგლი ოფიციალურ დოკუმენტებში დატანილი. გარდა ამისა, გასარკვევია, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა როგორ გახდა კერძო მესაკუთრის ხელში და რატომ დაირღვა კანონი“,** — აცხადებს ცირა ელისაშვილი For.ge-სთან საუბარში.

მისი თქმით, სხვა საქმეა, როცა სახელმწიფო ძეგლებს სტატუსს უხსნის, რაც ადრე კანონდარღვევით ხდებოდა. ეს უსამართლო საქციელია, რომელიც, სამწუხაროდ, სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციეს.

**მანანა ნოზაძე**

ვითარება

# როდის და როგორ შეიწყალებს პრეზიდენტი პატიმრებს?

**ახალი კონსტიტუციის ამოქმედების მიუხედავად, პატიმრების შეწყალება კვლავ რჩება პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა, იგეგმება შეწყალების გამოყენების წესის შეცვლა. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები მიზანშეწონილად მიიჩნევენ სპეციალური კანონის მიღებას. ასევე განიხილება შეწყალების გამოყენებისას პრეზიდენტის შეზღუდვა კომისიის რეკომენდაციით.**

საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ შეწყალების კომისიაში 600-მდე პატიმრის განცხადებაა შესული. კომისიის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის თქმით, შეწყალების მთხოვნელი პატიმრების ბედი ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და კომისიის მუშაობაზეა დამოკიდებული.

**„კომისიის მომზადებას სჭირდება სათანადო პროცედურა. უწინარესად, პრეზიდენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ვატარებთ თუ არა სხდომას, მეორე მხრივ, ამის შემდეგ უკვე იწყება საქმეების გაცნობა. საქმეებს ვეცნობი, რასაც სჭირდება, დაახლოებით, ორი დღე. ვარჩევ იმ საქმეებს, რომელიც უნდა დაურიგდეს კომისიის წევრებს. ისინიც ეცნობიან და ამის შემდეგ ინიშნება სხდომა“,** — უთხრა ელენე თევდორაძემ რადიო „თავისუფლებას“.

ელენე თევდორაძის თქმით, დამკვიდრებული ტრადიციით, პრეზიდენტი ყოველი წლის 23 ნოემბერს გამოსცემს შეწყალების ბრძანებას, თუმცა, წელს, განსაკუთრებული ვითარების გამო, შესაძლოა, პატიმართა შეწყალება ვერ მოესწროს. საქმე ის არის, რომ მოქმედი კომისიის ცამეტი წევრიდან შვიდი პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი იყო. შესაბამისად, პრეზიდენტის შეცვლის შემდეგ, როგორც ელენე თევდორაძე ამბობს, შესაძლებელია ვერ მოხერხდეს კომისიის დებულებით გათვალისწინებული კვორუმის მოგროვება, ანუ 10 წევრის შეკრება. სხვაგვარად ფიქრობს პრეზიდენტის მრჩეველი და კომისიის წევრი ვან ბაიბურთი, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს ჩაერთოს კომისიის მუშაობაში: **„თუ მოიწვევს პრეზიდენტი სხდომას, რასაკვირველია, აუცილებლად მივალთ და აუცილებლად დავეხმარებით იმ ხალხს, ვინც არის ღირსი შეიწყალოს პრეზიდენტმა. და კარგი იქნება, თუ შეიწყალებს პრეზიდენტი პატიმრებს, ტრადიციულად, გიორგობაზე“.**

რადიო თავისუფლებისათვის სარწმუნო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი, შემჭიდროებული ვადების მიუხედავად, მაინც აპირებს გიორგობის დღესასწაულისთვის შეწყალების აქტის გამოცემას, რასაც მიესალმება იურისტი კახა კახიშვილი, თუმცა, ერთი დათქმით: **„ყველა შეწყალება უნდა განხორციელდეს კომისიის დასკვნის საფუძველზე, იმიტომ რომ კომისიას აქვს საშუალება, შეისწავლოს როგორც ჩადენილი დანაშაული, ასევე საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოკვეთოს, რამდენად ხისტი იყო დანაშაული და, ამავდროულად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან მიღებული ცნობებისა და დახასიათებების შესაბამისად, დადგინდეს, მოინანია თუ არა დანაშაული და ა.შ.“**

კახა კახიშვილის თქმით, ასეთი დათქმის აუცილებლობა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა კომისიის გვერდის ავლით დაიწყო პატიმართა შეწყალება. ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელის ალეკო ცქიტიშვილის თქმით, ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მიხეილ სააკაშვილის მიერ 2004 წლის 19 ივლისის შეწყალების გამოყენების წესის შესახებ ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტს მიენიჭა უფლებამოსილება, კომისიის შუამდგომლობის გვერდის ავლით, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება.

**„შეიძლება ითქვას, რომ თუ ამ ცვლილებას ამ ბრძანებულებიდან ამოვიღებთ, მაშინ პროცესი დაუბრუნდება სამართლებრივ და კონსტიტუციურ ჩარჩოებს. თუმცა, არის ასევე სხვა იდეაც, რომ ამის თაობაზე შეიძლება იქნეს მიღებული კანონი პარლამენტის მიერ, რითაც გამოირიცხება შემდგომში ნებისმიერი პრეზიდენტის მიერ ამა თუ იმ ცვლილების შეტანა და ვეღარ მოხდება მსგავსი შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტი თავის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანით კანონზე მაღლა აყენებს თავს“,** — უთხრა ალეკო ცქიტიშვილმა რადიო „თავისუფლებას“.

შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის თქმით, კომისია ბოლოს 20 ოქტომბერს შეიკრიბა და პრეზიდენტს 120 კაცისგან შემდგარი სარეკომენდაციო სია გადაუგზავნა, თუმცა, თევდორაძისავე თქმით, მიხეილ სააკაშვილმა გარდა იმისა, რომ ამ სიას დაამატა რამდენიმე პატიმრის გვარი, მოგვიანებით, კომისიის გვერდის ავლით, კიდევ 18 პატიმარი შეიწყალა.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
რადიო „თავისუფლება“



**ეროვნული ჩემპიონატი**



# დარასელიამ „ზუგდიდში“ სამეული დააბრუნა

**„ზუგდიდის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დარასელიამ გუნდიდან წასული სამი ფეხბურთელი დააბრუნა.**

ზუგდიდური საფეხბურთო კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქმე ნიკოლოზ აფაქიძეს, ზვიად სიხარულიას და რომეო კანკიას ეხება. მათ გუნდი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კლიმენტი წიტაიშვილის გადადგომის შემდეგ დატოვეს. თუმცა, დარასელია ხსენებულ ფეხბურთელებს შეხვდა და მოლაპარაკების შემდეგ ისინი კვლავ „ზუგდიდს“ შეუერთდნენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

**მუნდიალი – 2012**

# 15 ყველაზე უიღბლო



**მთლიანობაში, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა კონტინენტიდან საუკეთესო ნაკრებები გავიდნენ. სენსაცია არ მომხდარა, თუმცა, აბა, წარმოვიდგინოთ, რამდენი ვარსკვლავი დარჩა მუნდიალს მიღმა. როგორ არ შეგეცოდებოდა თუნდაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელიც, როგორც იტყვიან, მარტო ეთამაშა პორტუგალიის ნაკრებს.**

აქ იმ 15 ფეხბურთელის სიას ჩამოვწერთ, რომლებიც, ჩვენი აზრით, მუნდიალს ყველაზე მეტად დააკლდებიან



1. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი), 2. გარეთ ბეილი (უელსი), 3. პეტრ ჩეხი (ჩეხეთი), 4. რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი), 5. აარონ რემზი (უელსი), 6. ბრანისლავ ივანოვიჩი (სერბეთი), 7. დავიდ ალაბა (ავსტრია), 8. ჰენრიკ მხითარიანი (სომხეთი), 9. არდა თურანი (თურქეთი), 10. მარეკ ჰამშიკი (სლოვაკეთი), 11. კრისტიან ერიქსენი (დანია), 12. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (პოლონეთი), 13. დანიელ აგერი (დანია), 14. ტომაშ როსიცკი (ჩეხეთი), 15. სტევან იოვეტიჩი (ჩერნოგორია).



სიაში არ არიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც სანაკრებო კარიერა დაასრულეს. მაგალითად, ნემანია ვიდიჩი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

**ჩემპიონთა ლიგა**

# „ნაპოლის“ მკაცრი სანქცია ემუქრება



**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მე-6 ტურის მატჩი „ნაპოლისა“ და „არსენალს“ შორის შეიძლება მაყურებლების გარეშე ჩატარდეს. ნეაპოლელებს მკაცრი სანქცია მე-4 ტურში „მარსელთან“ თამაშისას ტრიბუნებზე დაფიქსირებული უწესრიგობის გამო ემუქრებათ.**

შეხვედრისას, რომელიც „ნაპოლიმ“ „მარსელს“ 3:2 მოუგო, გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ და 10 ადამიანი დაშავდა. უეფამ ამ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და ვერდიქტს უახლოეს მომავალში გამოაცხადებს.

ბრიტანული გამოცემების ცნობით, თუკი დამტკიცდება, რომ ორგანიზატორებმა მაყურებლების უსაფრთხოება ვერ უზრუნველყვეს, 11 დეკემბერს „ნაპოლის“ ფეხბურთელებს ცარიელ სტადიონზე მოუწევთ ლონდონელთა მასპინძლობა.

**გიორგი შოთაძე**

**კალათბურთი**

# ცინცაძე სუპერლიგის ლიდერია



**გიორგი ცინცაძის „დონეცკმა“ უკრაინულ სუპერლიგაში ზედიზედ მე-6 მატჩი მოიგო და ჩემპიონატს კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს.**

**დონეცკელები ამჯერად ივანო-ფრანკოვსკს ესტუმრნენ და ადგილობრივ „ჰოვერლას“ პირველი საშინაო მარცხი აგემეს – 69:63.**

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 17:49 წუთში კი 4 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

ცინცაძემ 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, 4 შეცდომა დაუშვა, ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთხელ დაჯარიმდნენ.

სტუმართა რიგებში საუკეთესო ამერიკელი მარკო კილინგსვორტი იყო, რომელმაც 16 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა და ორმაგი დუბლი შეასრულა.

„დონეცკს“ მომდევნო შეხვედრა დღეს ელის, როდესაც ლვოვის „პოლიტექნიკა-გალიჩინას“ ესტუმრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ჩოგბურთი**

# ATP-ის ახალი პრეზიდენტი ჰყავს



**მამაკაცთა საჩოგბურთო ასოციაციის (ATP) ახალი თავკაცი ბრიტანელი კრის კერმოდი გახდა. 48 წლის კერმოდი გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფესიონალი ჩოგბურთელი იყო, შემდეგ ლონდონის Queen's Club-ის (წინასაუიმბლდონო ტურნირი) დირექტორის მოადგილედ და დირექტორად მუშაობდა. ATP-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას კერმოდი 2014 წლის პირველი იანვრიდან შეუდგება.**

კრის კერმოდის დანიშვნას პროფესიონალ მოთამაშეთა საბჭოს თავმჯდომარე როჯერ ფედერერი მიესალმა: „ჩოგბურთელთა სახელით ვულოცავ კრისს ახალ თანამდებობას. კერმოდს დიდი გამოცდილება აქვს და ყველა თვისება გააჩნია, რათა მინდობილ საქმეს წარმატებით გაუძღვეს. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება“.

შეგახსენებთ, რომ ATP-ის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც წლეულს იანვარში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბრედ დრუიტს ამიოტროფული სკლეროზის დიაგნოზი დაუსვეს, მაისში კი დრუიტი გარდაიცვალა.

**ბეჟან დოლიძე**

**ჭადრაკი**

# კარლსენი ჩემპიონობას მიუახლოვდა

**ინდოეთის ქალაქ ჩენაიში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი, რომელშიც ერთმანეთს მოქმედი ჩემპიონი ინდოელი ვიში ანანდი (2775) და ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი (2870) უპირისპირდებიან.**

მატჩში უკვე 8 ტური მიილია და თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ნორვეგიელი მიზანთან გაცილებით ახლოს არის. კარლსენმა მე-5 და მე-6 პარტიებში გამარჯვება იზეიმა, დანარჩენები კი ყაიმით დაასრულა და 5:3-ს იგებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტოქეები კიდევ 4 პარტიას გამართავენ, იოლი გამოსათვლელია, რომ მაგნუსს ჩემპიონობისთვის ქულანახევრის აღებაალა სჭირდება. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტაი-ბრეიქი 28 ნოემბერსაა დანიშნული, დროის კონტროლი კი ასეთია: 120 წთ. პირველ 40 სვლაზე+60 წთ. 20 სვლაზე+15 წთ. პარტიის ბოლომდე+30 წამი, დროის დამატება 61-ე სვლიდან.



ასპარეზობის საპრიზო ფონდი ოფიციალურად დასახელებული არ არის, თუმცა ცნობილია, რომ გამარჯვებული საერთო თანხის 60%-ს მიიღებს, ხოლო დამარცხებული, შესაბამისად – 40%-ს. ძირითადი მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში, თანხა 55%-45%-ზე განაწილდება მოქმედი ჩემპიონის სასარგებლოდ.

**ნატა ნიბლაძე**

**ინტერნეტიდან**

# დე როსის ცოლის გულახდილობა



**იტალიური „რომასა“ და „სკუადრა აძურას“ წამყვანი ფეხბურთელის დანიელე დე როსის მეუღლე, მოდელი ტამარა პისნოლი „წინა ცხოვრებაში“, ანუ იქამდე, სანამ აპენინელ ფეხბურთელს შეხვდებოდა, ორჯერ იყო გათხოვილი და თავის წინა ქორწინებებზე საუბარი, ბუნებრივია, არ უყვარდა.**

ცოტა ხნის წინათ კი მშვენიერმა ტამარამ ნავსი გატეხა და თავისი წარსულის არცთუ ლამაზი და სურნელოვანი ფურცლები გამოამზეურა. დე როსის მეუღლის თქმით, მისი პირველი ორი ქორწინებიდან პირველი განსაკუთრებით დიდ შეცდომად მიაჩნია, რადგან ისეთ ადამიანს (ვინმე ორიოტეს) გაჰყვა ცოლად, რომელიც ამას უბრალოდ არ იმსახურებდა.

ტამარას მეორე ქმარი იტალიური ტელესერიალების ნაკლებად ცნობილი მსახიობი იყო, რომელსაც დე როსის მეუღლე დაქორწინებიდან სულ რაღაც 1 წელიწადში გაშორდა. ტამარა პისნოლი ამბობს, რომ დანიელე მის ცხოვრებაში ერთადერთი ნამდვილი მამაკაცია და შვილებიც სწორედ დანიელესთან ჰყავს. „ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, დანიელეს თუ უფრო ადრე შევხვდებოდი“ – ამბობს ტამარა.

## კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● გამოვდივარ ინიციატივით — „ქართულმა ოცნებამ“ გაუკეთოს ორგანიზება სამოქალაქო სექტორისა და უმცირესობის შეხვედრას. ჩვენ (უბრალო მოკვდავებს), პოლიტფიგურებისგან განსხვავებით, არ გვაკისრია თმენის ვალდებულება და პირში მივახლით კრიმინალებს სათქმელს (თქვენ თუ გერიდებათ!). არ მაინტერესებს სასამართლოს გადაწყვეტილება და თქვენი მიჩქმალული საქმეები, საქართველოში ყველა ოჯახი სრულფასოვან მოწმედ გამოდგება ამ გაპრავებული ჩიკატილოების წინააღმდეგ. მარტო საარჩევნოდ ნუ გვაგდებთ ძაღლად, „გვათქმევინეთ“ სათქმელი მეჟდუვიბორაც, ბლინ.

● ჩვენი უბედურება იცით რა არის? იმდენად გავიჟღინთეთ სიძულვილით 9 წლის მანძილზე, რომ მზად ვართ, ყველა ხელში ავიტატოთ ვინც ოდნავ მკაცრი ტონით მაინც დაელაპარაკება VIP ნაციონალებს... ამ დროს ისინი სულაც არ უნდა იჯდნენ იქ, სადაც სხედან... და სადაც საჭიროა იქ თუ დასხდებიან, მაშინაც არ არის საჭირო აპლოდისმენტები — ისინი ამას იმსახურებენ და ხელისუფლებამ, რომელსაც დემოკრატიული ქვეყნის შენებაზე აქვს პრეტენზია, ეს უმალ უნდა მოაგვაროს, საზოგადოების წინაშე ყოველგვარი ქულების დაუწერლად.




● დოსტოევსკის „მოდის“ მათხოვეთ რა.

● ჭიკაიძემ, 26 მაისს ვიყავი, მარა მალევე წამოვედი, ბოლო ზარი მქონდაო.

● წარმატებებს ვუსურვებ ირაკლი ღარიბაშვილს! მის კაბინეტს არც კრიტიკას დავაკლებთ და წითელ ბარათებსაც ავუწევთ ცალკეულ მინისტრებს, თუ რომელიმე მათგანს დაავიწყდება, რომ ჯერ ხალხია და მერე- სკამი. დიდი სურვილი მაქვს, რომ წითელი ბარათების აფრიალების აუცილებლობა არ გაჩნდეს. თუმცა, მაგალითისთვის, მაია ფანჯიკიძეს და გურამ ოდიშარიას, ასევე, ბუკა პეტრიაშვილს ახლავე ვუწევ ამ ბარათს. მე მიმაჩნია, რომ მთავრობასაც და უმრავლესობასაც დღეს ქებაზე მეტად, სწორედ ჯანსაღი კრიტიკა სჭირდება.

● ბიძინა ივანიშვილმა შეძლო კონკრეტულად სააკაშვილის პოლიტიკური და მორალური დამარცხება. აქედან გამომდინარე — რეჟიმის განეიტრალება, ჩვენი საზოგადოების გათავისუფლება შიშისა და ტერორისაგან, ამას უაღრესად ვაფასებ... ვაფასებ გულწრფელად... მაგრამ დარჩა „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც კოჰაბიტაციის შედეგი და დარჩა მისი 21%-იანი მოცემულობა. ვხედავ რისკსა და საფრთხეებს... და ვპროგნოზირებ არამარტივ პოლიტიკურ პროცესებს. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ ამჯერად ქართველი ხალხი სრულფასოვნად გაიმარჯვებს. მათ შორის, კოჰაბიტაციაზე. სხვა ეპილოგი, უბრალოდ, არაკანონზომიერი იქნება.

● ვინცხა იმისი არ იყოს და რამაზ ჩხიკვაძის ძეგლის გახსნაზე ბიძინა ივანიშვილი იყო, ზურაბ წერეთელი იყო, კახი კავსაძე იყო, ჯემალ ღაღანიძე იყო (კიდევ ბევრი მართლა მაგარი ხალხი იყო), ხოოოდა ეს გურამა ოდიშარია, ან ჯანდაბას, მარინია მიზანდარი რატომ არ იყო ვერ გევიგე?

იქნება იმიტო, რო გურამა და მარინია არიან, ჰააა?

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

## ინფორმაცია

### „გუდვილი“ „ნიკორას“ მფლობელობაში გადავა?

**სააქციო საზოგადოება „ნიკორა“ მზად არის, „გუდვილის“ სამომავლო მუშაობის უზრუნველყოფაზე ვალდებულება აიღოს. ეს ინფორმაცია „ნიკორას“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბოქოლიშვილმა დაადასტურა.**

— ვადასტურებთ, რომ სს „ნიკორა“ მზად გახლავთ, აიღოს კომპანია „გუდვილის“ ყველა ვალდებულება, „გუდვილის“ ამჟამინდელი დამფუძნებლის გოგი შევარდნაძის თანხმობის შემთხვევაში. როგორც კი პროცესებთან დაკავშირებით ხელშესახები ინფორმაცია გვექნება, სს „ნიკორა“ მედიასაშუალებებს საქმის კურსში ჩააყენებს, — განაცხადა ბოქოლიშვილმა.

### საჭესთან გულმა უღალატა

**მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე უბედური შემთხვევა მოხდა. გზაზე „ოპელის“ მარკის ავტომობილით მოძრავი 60 წლამდე მამაკაცი შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა.**

ექიმების განცხადებით, ადგილზე მისულებს მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ. მომხდარის ზუსტი მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა, როგორც ადგილზე მყოფი ერთ-ერთი ახალგაზრდა აცხადებს, მამაკაცს გული აწუხებდა.

მისივე ინფორმაციით, დაღუპული ნუცუბიძის ერთ-ერთ სკოლაში მათემატიკის მასწავლებელი იყო.

### ხუთჯერ ნასამართლები ქალი ისევ ნარკოტიკებზე დააკავეს

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანის ფაქტზე 1962 წელს დაბადებული, წარსულში 5-ჯერ ნასამართლები ქეთევან ჯ. დააკავეს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ქეთევან ჯ. გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში იმ დროს დააკავეს, როდესაც მან საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა და საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალება შემოიტანა.

სამინისტროს ცნობით, ქეთევან ჯ-ს პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 37 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია ჰეროინის შემცველი 20,0797 გრ ნარკოტიკი.

### არადეკლარირებული ქურქები რუსეთიდან

**საქართველოს ტერიტორიაზე, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“, კანონის გვერდის ავლით, ქურქების შემოტანის მცდელობა დაფიქსირდა. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოსული რუსეთის მოქალაქე რ.ო.-ის კუთვნილ ავტომანქანაში მებაჟე ოფიცრებმა 16 ცალი არადეკლარირებული ქურქი აღმოაჩინეს.**

საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 33013.6 ლარი.

აღნიშნული საქმე შემდგომი რეაგირებისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

**ინტერპრესი**



**საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომლის, ისტორიის დოქტორის**

**მარიკა (მარგალიტა) ჩემიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

### განცხადება

სს „ელექტრონიკა-94“ 2013 წლის 20 დეკემბერს 16 საათზე ატარებს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას. მისამართი: კ. გამსახურდიას გამზირი №14.

**დღის წესრიგი:**

ზოგიერთი ადმინისტრაციული საკითხების განხილვა.

**მომხს: სამეთ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
**ვ. ციხელაშვილი**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**299-62-77;**
**599 32-85-76.**

## ჩვენი კარაბადინი

# კი არ ვჭამთ, ვმკურნალობთ

### რომელი საჭმელი გვიცავს კიბოსგან?

**საკვები შეიძლება იყოს ჩვენი დამღუპველი, შეიძლება — მკურნალიც. თუ რის სასარგებლოდ გავაკეთოთ არჩევანი, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.**

დიეტოლოგებს უყვართ აღნიშნონ, რომ „კოვზით ჩვენს საფლავებს ვთხრითო“. და ყველაფერი იმიტომ, რომ ვჭამთ ძალიან ბევრს, ან იმას არა, რაც საჭიროა. მიაჩნიათ, რომ ყველა ონკოლოგიურ დაავადებათა ერთი მესამედი პროვოცირებულია სწორედ არასწორი კვებით. უფრო სწორად — კანცეროგენების მოხმარებით, რომლებიც ორგანიზმში კიბოს უჯრედების ზრდას იწვევენ.

მაგრამ, საბედნიეროდ, იმ პროდუქტების გარდა, რისიც უნდა გვეშინოდეს, არის ისეთი საკვებიც, რომელიც გვიცავს კიბოსგან.

### დღის სწორი დაწყება

საუზმისთვის კარგია ნებისმიერი ფაფა, რომელშიც მეტი სარგებლიანობისთვის შეიძლება დავუმატოთ:

● **სეზონის ხილი (ან ჩირი).** ვიტამინებს, მინერალებსა და უჯრედისს აქვთ ანტიკანცეროგენური აქტივობა;

● **კენკრა.** იდეალურია—ჟოლო, იგი მდიდარია ანტიციანებით, რომლებიც თრგუნავენ კიბოსწინა უჯრედებს. მაგრამ არც სხვა კენკროვანებია ურიგო;

● **მწარე გახეხილი შოკოლადი,** იგი მდიდარია კატექინებით, რომლებიც გვიცავენ გულისა და კიბოს დაავადებებისგან;

● **კაკალი.** იგი შეიცავს ცნობილ კიბოსსაწინააღმდეგო აქტიურ A და E ვიტამინ-ანტიოქსიდანტებს, აგრეთვე ქოლესტეროლს, რომელიც გვიცავს მკერდისა და პროსტატის კიბოსგან;

● **ქატო.** შეიცავს ბალასტურ ნივთიერებებს, რომლებიც გვიცავენ კუჭ-ნაწლავის კიბოს გაჩენისგან.

● **დღეში 1-2 ფინჯანი ყავაც** შეიძლება მივიჩნიოთ კიბოს პროფილაქტიკის საშუალებად ანტიოქსიდანტების დიდი ოდენობის ხარჯზე. მათ, ვისაც არ უყვარს ყავა, შეიძლება მოიდუღონ ასკილის ნაყენი, რომელიც ასევე ებრძვის კიბოს უჯრედებს. ეფექტიანი დოზაა — 4-5 ფინჯანი დღეში. ასევე კარგია მწვანე ჩაიც (3-4 ფინჯანი დღეში). იგი შეიცავს კატექინებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ კიბოს სიმსივნეების ზრდას.

### დადგა სადილის საათი

**სადილი უმჯობესია, დავიწყოთ სალათით. ახალი ბოსტნეული და ხილი უნდა მოვიხმაროთ რეგულარულად, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ კიბოს ბევრი სახეობა დაკავშირებულია ამ პროდუქტების მცირე მოხმარებასთან.**

ბოსტნეულიდან ყველაზე სასარგებლოა:

● **მუქი მწვანე ფურცლოვანი ბოსტნეული.** იგი მდიდარია ფოლიკულის მჟავით, რომელიც იცავს უჯრედებს სახიფათო გარდასახვისგან;

● **ხახვი,** გამდიდრებული კვერცეტინით, რომელიც თრგუნავს ავთვისებიანი უჯრედების წარმოქმნას, განსაკუთრებით სარძევე, წინამდებარე ჯირკვლებში და საკვერცხეებში. არანაკლებ სასარგებლოა **ნიორიც.**



იგი მდიდარია სელენით, რომელიც კანცეროგენებისგან იცავს კუჭს, მსხვილ ნაწლავს, პირსა და ყელს, საყლაპავ მილს, სარძევე ჯირკვლებსა და კანს. დღეში საკმარისია ნახევარი თავი ხახვი და ნივრის ორი კბილი;

● **სტაფილო, გოგრა, ისპანახი, ტკბილი წიწაკა, სალათი, ღორის ქადა.** შეიცავენ ბეტა-კაროტინს, რომელიც ხელს უშლის ჯანსაღი უჯრედების გადაზრდას ავთვისებიანში (განსაკუთრებით პროსტატაში, ფილტვებში, საშვილოსნოს ყელში, სარძევე ჯირკვლებში, კუჭში, კუჭქვეშა ჯირკვალში და მსხვილ ნაწლავში);

● **ბოლოკი, ნიახური**. შეიცავენ ინდოლებს და იზოციონიატებს — ძლიერ ანტიკანცეროგენულ ნივთიერებებს.

მეორე კერძად შეიძლება მივირთვათ ბოსტნეულის წვნიანი კერძი. მაგალითად, გოგრისა. ან პამიდვრისა, რომელიც შეიცავს ლიკოპინს —ძლიერ ანტიოქსიდანტს, თავიდან რომ გვაცილებს ენდომეტრიის, ფილტვების, კუჭისა და პროსტატის კიბოს. ლიკოპინი უფრო ეფექტიანია თბური გადამუშავების შემდეგ, ამიტომ მოთუშული პამიდორი და პამიდვრის წვნიანი უფრო სასარგებლოა, ვიდრე სალათი. ასევე შეიძლება მომზადდეს ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო წვნიანი-პიურე ყვავილოვანი კომბოსტოსგან ან ბროკოლისგან. ჯვაროსნების ოჯახის ყველა ბოსტნეული ეფექტურია კიბოს წინააღმდეგ. მაგრამ განსაკუთრებით ბროკოლი. იგი შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომელიც კანის, ღვიძლის, პროსტატის, ფილტვების, კუჭის, სარძევე ჯირკვლების, შარდის ბუშტის კიბოსგან გვიცავს.

იდეალური მეორე კერძია —თევზი (თინუსი, ორაგული, სარდინი). D ვიტამინით და ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავეებით მდიდარი თევზი ზრდის სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნიტეტს, ამცირებს მკერდის, კუჭ-ნაწლავთა და ფილტვების კიბოს განვითარების რისკს.

### ვახშამს ნუ დაუთმობთ მტერს

**ვახშამი მსუბუქი უნდა იყოს. საუკეთესო არჩევანია — ომლეტი. კვერცხის გულში არის ქოლინი, რომლის რეგულარული მიღება 24 პროცენტით ამცირებს სიმსივნეების ჩამოყალიბებას მკერდში. მაგრამ კვერცხის კერძი უმჯობესია მივიღოთ ორჯერ კვირაში და მეტი არა.**

სავახშმოდ გამოდგება ნებისმიერი კერძი ბოსტნეულისა და პარკოსნებისგან (ოსპი, ლობიო, ბარდა). პარკოსნებით მდიდარი დიეტა ზრდის ბუტირატის ცხიმოვანი მჟავის დონეს, რაც გვეხმარება დავიცვათ კიბოსგან სარძევე ჯირკვლები და მსხვილი ნაწლავი. მეტად სასარგებლოა დავუმატოთ კერძში კოჭა და კურკუმა. ამ ორივე სანელებელს აქვს არა მხოლოდ სასიამოვნო გემო, არამედ ძლიერი ანთებისსაწინააღმდეგო და კიბოსსაწინააღმდეგო ეფექტიანობაც.

მათ, ვინც მიეჩვია საღამოს ჭამას, შეუძლიათ, ვახშამი შეცვალონ ერთი ჭიქა რძით ან კეფირით. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ, თუ რეგულარულად ვსვამთ დღეში 1 ჭიქა რძეს, ალბათობა იმისა, რომ დაავადდეთ კუჭ-ნაწლავის კიბოთი, მცირდება 15 პროცენტით, ვინაიდან კალციუმი ამცირებს პოლიპების გაჩენას მსხვილ ნაწლავში.

აი, უფრო ღრმად რომ გვეძინოს, ვახშმისთვის შეიძლება თავს მივცეთ ნება, დავლიოთ ერთი ბოკალი (და არა მეტი) კარგი წითელი მშრალი ღვინო. მას აქვს კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი კვარცეტინისა და რესვერატროლის — ბიოფლავონოიდების — დიდი შემცველობის გამო, რომლებიც იცავენ გადაგვარებისგან სისხლის წარმომქმნელ უჯრედებს.

**ელენა ამანიძე**

## დაიჯესტი

### მაშ, სირბილი სჯობს თუ ნელი სიარული?

**რა უნდა ქნას მოულოდნელად წვიმაში მოყოლილმა კაცმა, ნაკლებად რომ დასველდეს — გაიქცეს თუ ნელა იაროს? რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ფიზიკა-მათემატიკური ამოცანის ამოხსნას სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები რამდენიმე ათწლეულია ცდილობენ თქეშში მოძრაობის ოპტიმალური სტრატეგიის დასადგენად.**

პასუხი არც ისე მარტივია, როგორც ეს თვალის ერთი გადავლებით შეიძლება ვიფიქროთ. თუ, ვთქვათ, გავიქცევით, მაშინ დანიშნულების პუნქტს უფრო მალე მივაღწევთ და, მაშასადამე, წვიმაში ყოფნა ნაკლებ ხანს მოგვიწევს. მეორე მხრივ კი, რაც უფრო დიდია ჩვენი სხეულის სიჩქარე, მით უფრო მეტ წვიმის წვეთს გადაკვეთს იგი მოძრაობისას. შესაბამისად, მეტადაც დასველდება. მოკლედ, საჭიროა ოქროს კვეთის მიგნება.

მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ „წვიმის ამოცანას“ ოპტიმალური ამოხსნა აქვს, თუმცა კი მის მიგნებას წარუმატებლად ცდილობდნენ. ამ ამოცანის ამოხსნას ცოტა ხნის წინათ „ევროპის ფიზიკის ჟურნალში“ იტალიის ქალაქ ბრეშიას უნივერსიტეტის პროფესორმა ფრანჩესკო ბოჩიმ სტატია მიუძღვნა. მისი მთავარი დასკვნაა, რომ უმეტესწილად კაცი წვიმაში ნაკლებად დასველდება, თუკი რაც შეიძლება ჩქარა გაიქცევა. თუმცა კი სირბილი საქმეს ყოველთვის არ შველის.



ინგლისური ბიბისისთვის მიცემულ ინტერვიუში პროფესორმა ბოჩიმ, კერძოდ, განაცხადა, რომ შედეგი ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მისი წინამორბედები კი ამას არ ითვალისწინებდნენ და ერთმნიშვნელოვან პასუხს ეძებდნენ, რომელიც, პრინციპში, არ არსებობს. ისინი მხოლოდ რომელიმე ერთ ფაქტორს ეყრდნობოდნენ.

— მხედველობაში მისაღებია ადამიანის სხეულის ფართობი, მისი სიმაღლისა და სიგანის შეფარდება, ქარის სიჩქარე და მიმართულება, წვიმის წვეთების დაცემის კუთხე, მათი ზომა და სხვ. — აცხადებს პროფესორი ბოჩი.

1987 წელს მეცნიერები თითქოს მივიდნენ დასკვნამდე, რომ დასველების თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს, გაიქცევი თუ ნელა ივლი, მაინც ერთნაირად დასველდები. მოგვიანებით ეს დასკვნა უარყვეს. 2011 წელს კი ექსპერტთა ჯგუფმა გამოიანგარიშა, რომ განსხვავება, თურმე, მაინც არის. და თუ რამდენად დასველდება კაცი, ძირითადად, ქარის მიმართულებაზეა დამოკიდებული — ზურგისაა ის თუ შემხვედრი.

მაშ, რას გვირჩევს პროფესორი ბოჩი? თურმე, გაქცევას: შემხვედრი ქარის დროს— მაქსიმალურად ჩქარა, ზურგის ქარის დროს ქარის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარით. ამასთან, მეტად ტანსრული ხალხი უფრო დასველდება, „ხმელები“ კი შედარებით მშრალები დარჩებიან.

### „აქსელერატი“ ფრჩხილები

**გასული საუკუნის 30-იან და 50-იან წლებში დიდი ბრიტანეთის ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევების გაცნობისას, მათი თანამედროვეები, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულნი დარჩნენ. აშშ-ის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ვერაფრით გაიგეს, თუ რაში დასჭირდათ რამდენიმე ათეული წლის წინათ მეცნიერებს... ფრჩხილების ზრდის სიჩქარის გაზომვა. მიუხედავად ამისა, მათ გადაწყვიტეს დაედგინათ, შეიცვალა თუ არა რამე მას შემდეგ, თუმცა კი ახალი გამოკვლევის მიზანიც ასევე უცნობი დარჩა.**



სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ფრჩხილების ზრდის სიჩქარე ანტროპოლოგებისთვის უნდა იყოს საინტერესო. მათ გარდა საკითხი, შესაძლოა, კიდევ მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტებისთვის იყოს საყურადღებო. აღმოჩნდა, რომ ამჟამად ადამიანებს ფრჩხილები უფრო სწრაფად ეზრდებათ: ბოლო 70 წლის მანძილზე მათი ზრდის სიჩქარემ 25 პროცენტით მოიმატა, თუმცა კი სხვადასხვა პროპორციით. აღმოჩნდა, რომ მამაკაცებს ფრჩხილები ქალებზე უფრო სწრაფად ეზრდებათ.

მიჩნეულია, რომ ფრჩხილების მდგომარეობა, ისევე, როგორც მათი ზრდის სიჩქარე, ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობას ასახავს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა — ბოლო შვიდი ათეული წლის განმავლობაში ადამიანები უფრო ჯანმრთელები გახდნენ.

### დაისვით სახეზე... ლოკოკინები და გაახალგაზრდავდით!

**ბოლო დროს იაპონიაში დიდად პოპულარული გახდა ახალი კოსმეტიკური პროცედურა, ეგრეთ წოდებული ლოკოკინოთერაპია.**

**კოსმეტოლოგის იოკო მინამის თქმით, ცოცხალ ლოკოკინებს კანის მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების უნარი აქვთ მათ მიერ გამოყოფილი ლორწოს გამო. ისინი ერთდროულად კანის უჯრედებსაც აახალგაზრდავებენ და მისი დანამვის შესანიშნავ ეფექტსაც იძლევიან.**



ლოკოკინოთერაპიის პროცედურა 250 დოლარი ღირს და ერთ საათს გრძელდება: ლოკოკინებს „საძოვარზე“ პაციენტის სახეზე, კისერსა და დეკოლტეს არეში უშვებენ. კოსმეტოლოგი კი მათ „მწყემსავს“ და პაციენტის თვალში ან პირში შეძრომის საშუალებას არ აძლევს. თავისი ცოცვის მარშრუტზე ლოკოკინები კანს მკვდარი ფენისგან ასუფთავებენ და მკურნალი ლორწოს გრძელ კვალს ტოვებენ, რომელიც აღმდგენ ნივთიერებებს შეიცავს და პატარ-პატარა ჭრილობებს საუცხოოდ კურნავს. პროცედურის შემდეგ კი პაციენტების სახეზე იმავე მოლუსკების ლორწოს შემცველ კრემს უსვამენ, რის შედეგად კანი საოცრად უახალგაზრდავდებათ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### უცხოეთში მოღვაწე ქართველებს აბრუნებენ

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ხელისუფლება უცხოეთში მოღვაწე ქართველების დაბრუნების პროცესს დააჩქარებს. მან დიდი იმედი გამოთქვა, რომ ბევრი ქართველი დაბრუნდება საქართველოში. „მთავარი მოწოდება იქნება ის, რომ ყველა ქართველი დაბრუნდეს თავის მიწაზე და ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი მოახმაროს საქართველოს. ჩვენი მთავრობა ყველა წარმატებულ ქართველს ჰპირდება, რომ მათ სათანადოდ მოვეპყრობით. მე მსურს მათი ჩართულობა იგივე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კერძო სექტორში და სხვა“.

**„ალია“**

#### რა შეცდომა დაუშვა მარგველაშვილმა

„მემარცხენე ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის სოსო შატბერაშვილის აზრით, პირველი შეცდომა, რომელიც დაუშვა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, ის არის, რომ პრეზიდენტის სასახლეში არ შევიდა და არ შევიდა იმიტომ, რომ მას მიხეილ სააკაშვილი არ მოსწონს, მაგ პრინციპით თუ ვიმოქმედებთ, კომუნისტების დროს აშენებული ყველა შენობა უნდა დავანგრიოთ, ის გადავცეთ ან უნივერსიტეტებს, ან სხვა კერძო სექტორებს. მეორე დიდი შეცდომა ის გახლავთ, რომ მან ინაუგურაციაზე არ მოიწვია არათუ პარლამენტგარეთ არსებული პოლიტიკური პარტიები, არამედ არ მოიწვია პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახი. დიდი შეცდომა იყო ის, რომ ინაუგურაცია ჩატარდა ხალხის გარეშე.

**„ახალი თაობა“**

#### სოცდაუცველებისთვის „მარშრუტკაში“ მგზავრობის შეღავათები აღდგა



სოციალურად დაუცველები, პენსიონერები, სტუდენტები და მოსწავლეები თბილისის სამარშრუტო ტაქსებში 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. ეს გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ გუშინდელ სხდომაზე მიიღო. ამასთან დაკავშირებით თბილისის 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილება შევიდა. ბიუჯეტით განისაზღვრა 300 000 ლარი, რომელიც სოციალურად დაუცველი პირების სამარშრუტო ტაქსებში სატრანსპორტო შეღავათებისთვის დაიხარჯება.

**„რეზონანსი“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**წუხელ** იმდენი ვსვით, რომ გავითიშე. ისღა მახსოვს, პეტკა მაგიდის ქვეშიდან რომ გვეძახდა, — ბიჭებო, ჰამბურგერი დაგვარდნიათო.

დილით რომ გავიღვიძე, ჩემი კუ არსად არ იყო.

* * *

— **გოგონი**, თქვენ, ალბათ, სტრიპტიზიორი ხართ, არა? — ეკითხება მამაკაცი ავტობუსში გოგოს.

— დიახ, როგორ მიხვდით?

— სავარძლის სახელურს ფეხით ხართ ჩაჭიდებული.

* * *

— **როგორა** გაქვს საქმე პირად ფრონტზე?

— დეზერტირი ვარ.

* * *



**პოლიციელს** ბუდეში წყლის პისტოლეტი ედო და წვიმისას ვაზნები გამოულეველი ჰქონდა.

* * *

**ჩვეულებრივი** ბარი. დაბალ ხმაზე უკრავს მუსიკა, რამდენიმე კლიენტი სიგარეტის ბოლშია გახვეული. უცებ შემოდის იხვი, აუჩქარებლად მიდის ბარის დახლთან, ჯდება, საფერფლეს მიიჩოჩებს, ფრთიდან დააძრობს სიგარეტსა და სანთებელას, მოქაჩავს და თვალებმილულული რგოლებად გამოუშვებს კვამლს. ბარმენი გაოგნებული უყურებს.

— ვისკი და კოკა-კოლა, თუ შეიძლება! — ვითომც არაფერიაო, ეუბნება იხვი.

გახევებული ბარმენი მექანიკურად ასხამს ჭიქებში შეკვეთილ სასმელებს და თან ხმადაბლა ეუბნება იხვს:

— მისმინე... მოკლედ კუთხეში ცირკია, ჯობს იქ მიხვიდე. იქნებ სამუშაოც იშოვო.

— იმათ რა, მღებავი სჭირდებათ? — ეკითხება ჩაფიქრებული იხვი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24